



# პრესნალი

საქართველოს  
გარე ურთიერთობების  
მინისტრის  
საინფორმაციო  
სამსახური

№17 (138). 19 აპრილში - 1 სექტემბერი, 2011 წელი. ლიბიური ჯარისკაცი. ფასი 1,5 ლარი.

**რა გადაიტანს  
კავშირისტეხვა**

**ლაზარული  
ქვეყნები**

1425  
2011

**რით ეშუქრება  
NATO  
თურქეთს?!**



**ავიანტოს ომმა ყარაბაღის  
ომის განახლება გადადო...**




რა მოხდა  
სოხუმში  
1992 წლის  
აპრილში...

18



ავგუსტის  
ოქტავიანუს  
საზღვაო  
ბრძოლა


42



კოსმონავტიკის  
სკანდინავია

47

პიკაპ ბანკები  
ფინეთის  
ოქვი



30



ქალაქური  
კრივი

44



„ზიგ ზაუერიის“  
ავტომატების  
დიდი ოქანი

51





# სარჩევი

## კალიფორნია

4 სასაზღვრო სიხსლავები

## ოჩის გამოცხილი

7 აგვისტოს ომბა ყარაბაღის ოჩის ბანახლბა ბაღაღო...

## რეზერვისტავის მონათსროვიდან

8 რისთვის უნდა იოჩის ვხად რეზერვისტი

## სანდალი

11 რით ვეხარება NATO თარაბთის

## რევიონი

16 კავასთური მოვლანების მიმოხილვა...

## აფხაზეთის ოჩი

18 რა მოხდა სოსხეში 1992 წლის აგვისტოში...

## საქსამსახურების არქივივილიდან

21 სტალინ-ბერიანს აგვისტოვარ პარტულ ემიგრანთაში

## ბაროლისტული ორგანიზაციები

24 „აგვისტი“ — ილაზური წინააღმდეგობის  
მოძრაობა ღაზის საქმორიდან

## ბანგვანებალი ქვეხები

30 რუსული ჯავანახეხენია — მიძე ბანახეხი  
შინეთის ოჩი

## ინოვაციური ბაქნოლოგიები

35 ლაზერები და სხივირი იარაღი

## ბაქნია

39 ბასაბერი ბანახეხის იმღაღა

## 100 ღიღი ვხადარითთაპარი

42 აგვისტოს ოჩიბიდან

## აროვნული სპორტი

44 „პარტული საბრძოლო ხელოვნების“ მიწარ  
აღღბანილი ქალაქური კრივი

## იოსონი

47 ქოსმონავტიკის საფანდარები

## „არსენალის“ იარაღის ბაღაღი

51 „ზიბ ზაუერი“ ავტომატიკის ღიღი ოჩიბი

## რედაქციისგან

ოკუპირებულ ცხინვალთან შეძენრ-  
თებული როკის გვირახის კაპიტალური  
რეკონსტრუქცია დაიწყო. ეს გვირახი  
2008 წლის აგვისტოს ოჩის ღრსიდან  
აფირიულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ  
მოუხედავად ამისა, როკის გვირახ-  
მა საქართველოსთვის საბედისწერიო  
როლი ითამაშა. სანამ როკის გვირახ-  
ბის რემონტი განხორციელდება და  
ის გადაკეთილი იქნება, რუსეთიდან  
ოკუპირებულ ცხინვალის რევიონამ-  
ღ დაკავშირება ძირითადი გვირახის  
გვერდით პარალელურად გამაგალი  
დამატებითი შტოლინით განხორციელ-  
დება, რომელიც რუსმა მმენებლებმა  
გააფართოვეს და გამაგალეს. ბედის  
ირონიია — ის გვირახი, რომელიც  
წამდვილად აფეთქებას იმსახურებდა  
საქართველოს დაქუცმაცებაში მიღე-  
ბული სამხიელი წელიღის გამო, პი-  
რებით უმჯობესდება, რაბა მოსკომა  
უკეთესად გააკონტროლოს საქართვე-  
ლოს ოკუპირებული რევიონი...

მოთარი რედაქტორი  
ირაკლი ალაღაშვილი

რედაქტორი  
თემურ ჩაჩანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
დათო მონიაშვილი

შროაღღაბა!  
ბამიოშირემი „არსენალი“  
ღა მიიღეთ შინს,  
ოჩი კვირავი მითხემ!  
ტამლ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის ღაზმითხაგად  
მასაღღების ღაღაბაქღაგა  
აპრკაღღღისი


ბაღღაღემულიღის ღაღაბაქღაგად  
15.08.2011

ბაზემი „კვირის პალიტრის“  
ღაგაბაგაბა ©

რედაქციის მისაბართია:  
თიღიღისი, იოსიბიღის ქ. N49  
ტამლ: 238-83-07 (121)

სარემკაღღამო ბაგემოვიღღაბა:  
ტამლ: 237-78-07; 238-78-70  
email: arsenal@kvirispalitra.com  
შრონალი ბამიღის  
ოჩი კვირავი მითხემ  
აბრასკვიზს

# კენაგონა „ვირი-როგოზა“ მუშაობა შენევივა



აშშ-ის არმიის სარდლობამ საბრძოლო რობოტის MULE ARV-ის შექმნის პროგრამა შეამერა. რობოტი დახვეწრესა და თვალთვალისთვის, ასევე მონაწილედგეზე დარტყმების მისაყენებლად იყო გაიზნული.

რობოტზე ამერიკული კომპანია Lockheed Martin-ი 2003 წლიდან მუშაობდა. თავდაპირველი პროექტი სამი განსხვავებული: სტრანსპორტი, გამწვანებული და საბრძოლო რობოტის შექმნა იგეგმებოდა, მაგრამ 2010 წელს პირველ ორზე აშშ-ის არმიამ უარი თქვა და მუშაობა მხოლოდ საბრძოლო ვარიანტზე გაგრძელდა.

შარშან იარაღის გამოყენაზე წარმოდგენილი რობოტის საბრძოლო ვარიანტის მაკეტი ტანკსწინააღმდეგო რაკეტებითა და ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

**MULE ARV**-ის დახურვის ოფიციალური საბაბი სხვა პროექტი — „საკაერო დესანტრების გაუმჯობესებული შესაძლებლობების“ მქონე მანქანაზე მუშაობის დაწყება სახელდება.

მიმდინარე წლის მაისის ბოლოს აშშ-ის არმიის სარდლობამ 1995-10 წლებში სამხედრო პროგრამების რეალიზაციის ამსახველი ანგარიში გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში ამერიკის არმიამ დაუსრულებელ პროექტებში 32 მილიარდი დოლარი დახარჯა, ხოლო შეიარაღებას სამხედრო ტექნიკის არც ერთი ახალი ნიმუში არ დამატებია.

# გვირაგვის რისკით სულნი რუსეთზე უსაფრთხო

კომანია Maplecroft-ის ექსპერტებმა მასშტაბური საერთაშორისო კვლევის შემდეგ დასკვნებს, რომ რუსეთში ტერაქტების საფრთხე გაცილებით მაღალია, ვიდრე თუნდაც სულანში.

197 სახელმწიფოსგან შემდგარ საიპო რუსეთმა მე-14 ადგილი დაიკავა და ფილიპინებსა და სულანს შორის მოხვდა. შარშანდელ ანალოგიურ რეიტინგში რუსებს საქმე უფრო ცუდად ჰქონდათ — მე-10 პოზიციაზე იყვნენ.

ამ მხრზე ყველაზე საშიში ქვეყანა, ისევე როგორც შარშან, წელს

საც სომალია. პირველ ხუთეულში ასევე შედიან პაკისტანი, ერაყი, აფღანეთი და სამხრეთი სულანი, რომელმაც დამოუკიდებლობა წელს გამოაცხადა.

Maplecroft-ი რეიტინგს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით ადგენს. კომპანიის ექსპერტები ამას თუ იმ სახელმწიფოში ერთი წლის განმავლობაში მომხდარი ტერაქტებისა და მისი მსხვერპლის რაოდენობას, ასევე მის იმ რეგიონთან სიახლოვეს ითვალისწინებენ, სადაც ტერაქტების აქტიურობა მაღალია.



# ესგონეთის ხა ორი კვირი განავლოვანი დახვეული იყო

ექსტონური ვაზეთის ცნობით, ქვეყნის საკაერო სერცე ორი კვირა დაუცველი იყო. NATO-ს წევრი ამ სახელმწიფოს ცის კონტროლის სისტემა ალიანსის წევრი ქვეყნის ავიგამანადგურებლებთან ერთად ადგილობრივი ძალების საშუალო შეუღმფრუნებსაც აერთიანებს, რათა საჭიროების შემთხვევაში საბრძოლო ავიაციას დახმარება აღმოუჩინონ. ამჯერად კი ისე გამოვიდა, რომ ესტონეთის პოლიციის დეპარტამენტისა და საზღვრის დაცვის უსეყვის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამაშველო შეუღმფრუნს სარემონტო სამუშაოები ერთდროულად უტარდებოდა და შედგად ლიტვაში ბაზირებულმა NATO-ს გამანადგურებლებმა

ესტონეთის ცაში ფრენა ვერ შეძლეს. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა დაადასტურა, რომ ორი კვირა ესტონეთის საკაერო სერცეში NATO-ს ავიგამანადგურებლები არ დაფრინადნენ, მაგრამ დასინა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლიტვასა და ლატვიაში მყოფი ალიანსის საბრძოლო თვითმფრინავები ნებისმიერ ინციდენტზე რეაგირებას მინც მოასწრებდნენ. ამჟამად ბალტიისპირეთის ქვეყნების ცის უსაფრთხოებაზე საფრანგეთის სამხედრო-საკაერო ძალების ოთხი გამანადგურებელი ზრუნავს, საერთოდ კი ამ მისას 2004 წლიდან NATO-ს წევრი სახელმწიფოები მორიგეობით ითავსებენ.





# აკგენიონლი წყალქვეშ ნავები აზოფურ ენერჯიონზე გვალდინ



არგენტინის თვდაცვის სამინისტრო ატომური რეაქტორების შექმნას ემურება, რომელია გამოყენებას დიზელ-ელექტრულ წყალქვეშ ნავებში აპირებს. არგენტინის თვდაცვის მინისტრის თქმით, მის ქვეყანას ამ ტექნოლოგიის ათვისება დამოუკიდებლად შეუძლია.

ამ დროისთვის არგენტინის ფლოტის განკარგულებაშია დიზელისძრავიანი ორი წყალქვეშა ნავი, ხოლო მესამე კი ავების სტადია-

შია. სწორედ მათზე იგეგმება ატომური ენერჯიონზეგვების გამოყენება.

თვდაცვის სამინისტროს ცნობით, არგენტინის ატომური ენერჯეტიკის ეროვნული სააგენტო და კოსმოსური და ატომური ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტი ატომურ რეაქტორზე უკვე მუშაობენ და მისი ადაპტირება წყალქვეშ ნავებზე ახლო მომავლშია განზრახული.

# წელიწადიწინ სკოლას იწვინ

ირანის პოლიციამ თირანის ერთ-ერთ პარკში გამართული წყლის პისტოლეტების სროლის მონაწილეები დააკავა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ეს ღონისძიება, რომელშიც ასამდე გოგონა და გოგო მონაწილეობდა, საზოგადოებრივ მორალს ქინაბამდგებოდა და ისლამის პრინციპებს ფეჭქვეშ თვლავდა.

ამ ამბავს ირანელი ოპოზიციონერებიც გამოქმადუნენ. მათი თქმით, ხელისუფლების უკმაყოფილება ორმა ასპექტში გამოიწვია: პირველი ის, რომ აქცია „ფეისბუქში“ ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე დაიგეგმა, მეორე – ადამიანების მიუღი გულითა და სულოთ გაერთინენ. ერთიდა და მეორეც ირანში სახელწიფოსა და საზოგადოებისთვის საშიშ მიუღიწვინად აღიქმება.

საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი ორმოცგვადუნისან სიგხშიმ ხდება. თუცა ტემპერატურა წყნარობაში მონაწილეობა „დანაშაულს“ ვერ ამსუბუქებს. ვე კი არა, ირანში ახლახან კანონი მიიღეს, რომელიც „რამადანის“ დასრულებამდე ბანაობას კრძალავს.

# უკრავს მოგოიანი ნავი-როგოგავი გააკონსტრუქცია

აშშ-ის სამხედრო-საპარო ძალებში დიწვეს რობოტიზებული მოტორიანი ნავების გამოცდა, რომელიც ყურების აკატორის პატრულირებისთვისაა განკუთვნილი. მოდელის შექმნაზე ბრიტანულმა კომპანია Qinetiq-ის სპეციალისტებმა ობრუნეს და მას Blackfish-ი უწოდეს.

რბე 3 მეტრია და ოპერატორის მიერ ნაპირდან, 1 კმ-ის დაშორებით დისტანციურად იმართება. მოდელს პატრულირება წინასწარ დადგენილი მარშრუტით GPS-ის მეშვეობითაც შეუძლია.

ნავი-რობოტის მაქსიმალური სიჩქარე 65 კმ/სთ-ია. შექმნილებმა ის სინარით, რადარითა და ვიდეოკამერით აღჭურვეს.



# იაკონსტრუქცია სუაროსუკი უაილოგ უეიწეს



სუაროსუკი უაილოგ უეიწესის ბრიტანული ბიოლოგისა

იაპონიის ტექნიკური კვლევების ინსტიტუტმა დაამზადა სუეროს ფორმის მქონე უაილოტო საფრენი აპარატი, რომლის გამოყენება დაზვერვაში, თვლითვალსა და სამხედრო-სამაშველო ოპერაციებში იგეგმება. აპარატი მზახველებს ჯორჯ ლუკასის ფილმ „ჯარსკვლავურ ომებში“ წარმოდგენილ „სიკვიდის ვარსკვლავს“ აგონებს.

შექმნიელთა თქმით, სუეროსებრი ფორმის უაილოტო აპარატი დაზინებუბიწვან უკეთ არის დაცული.

აპარატის დიამეტრი 42,7 სანტიმეტრია, ხოლო მასა კი 348,7 გრამს შეადგენს. უაილოტოს საკანონი ნაწილი პლასტიკის კონტეინერია, სადაც ელექტროძრავა და კვების ელემენტებია მოთავსებული. აპარატს 60 კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარება შეუძლია.

აპარატის ტექნიკური დეტალების დაზვერვა მუშაობა გრძელდება და მისი საფარადლო ღირებულება 1400 დოლარი იწვინება.

# მედიკალიზაცია ავღანეთში ქვების მონაწილეს სანი წელი ხინა აკაჩავს



აშშ-ის არმიის რიგით ადამ უინფილდს, რომელსაც ბრალად 2010 წელს ავღანეთში მშვიდობიან მოსახლეთა მკვლელობაში მონაწილეობა ედება, სამი წელი თავისუფლების ადკვეთა მიუსაჯეს. თავიდან უინფილდს 17 წლიანი ციხე ემუქრებოდა, თუმცა აღიარებითი ჩვენების მიცემისა და გამობიებასთან თანამშრომლობის გამო სახველი შეუმსუბუქდა.

უინფილდმა განაცხადა, რომ მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის სროლას თანამებრძოლები აიძულებდნენ, თუმცა ის შეგნებულად აცილებდა. ამასთან დასხინა, რომ თავად არაფერს აკეთებდა, რათა სხვებისთვის გაუძარბოთ მკვლელობაში ხელი შეეშალა. ბრალდებულმა ავღანეთში სამსახურის დროს პაშისის მოხმარებაც აღიარა.

„მეშინოდა და მინდოდა, ნარკოტიკის მეშვეობით მხნობა მომეკრება. ის, რაც მოხდა, მთელი ცხოვრება ტვირთად დამაწევება“, — განაცხადა რიგითმა სასამართლოზე.

უინფილდი ავღანეთში იმ ბრიგადაში მსახურობდა, რომლის ზეთი მოსამსახურე 2010 წელს მშვიდობიანი მოქალაქეების „სპორტული ინტერესის“ გამო ფლტგაში ამხილეს. ამერიკელი სამხედროები დაზოცილებთან სურათებს იღებდნენ, მათი სხეულის ნაწილებს კი სამასხუროდ ინახავდნენ. ამის შესახებ ცნობილი სწორედ უინფილდის მეშვეობით გახდა.



## ბრიტანელი თალიბ სნაიპერებს მიკროფონებით აღმოაჩინეს

ბრიტანეთის არმიამ ავღანეთში მყოფი თავისი ჯარისკაცების უსაფრთხოებისთვის სისტემა Boomerang III-ის გამოყენება გადაწყვიტა, რომელიც სნაიპერთა პოზიციების აღმოჩენისთვისაა განკუთვნილი.

ეს სისტემა ამერიკის თავდაცვის სააგენტო DARPA-ს დაკვეთით თავდაპირველად 2003 წელს ერაყული კამპანიისთვის შეიქმნა და ახლა მისი უფრო დახვეწილი ვარიანტის გამოყენება ბრიტანელებმა უკვე ავღანეთშიც მოინდომეს.

Boomerang III-ის სისტემა შვიდი ზემოტრობიარე მიკროფონისგან შედგება, რომელთა მეშვეობით გასროლის მიმართულებას ადგენენ და მონაცემები

ელექტრონულ დისკლეიზე აისახება. მიკროფონები იმდენად მგრძობიარეა, რომ ულტრაბგერით დიაპაზონზეც კი რეაგირებს, ხოლო სნაიპერის ადგილსამყოფლის დასადგენად კი სისტემას გასროლიდან სულ რამდენიმე წამი სჭირდება.

Boomerang III არა მხოლოდ მსროლელის ადგილსამყოფელს, არამედ მისგან დაშორებულ მანძილსაც ადგენს. ამასთან, სისტემა ისეა დაპროგრამებული, რომ უგულვებელყოფს იმ გასროლებსა და ზმაურიან ბგერით იმპულსებს, რომლებიც „თავისიანი“ წყაროდან მომდინარეობს. მის უძიადრეს დირსებად კი გამოყენების სიმარტყვსა და ავღანეთის პირობებში სარგებლიანობას ასახელებენ.





# აგვისტოს ოგაპ ყარაბაღის ოზის განასვლა გადადო...



2008 წლის აგვისტოს ომის შესაძლებლობის ირრვევა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, საერაულოდ, გადადო საბრძოლო მოქმედებები მთიანი ყარაბაღის დასაბრუნებლად.

დღეს აუღიარებელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის და აზერბაიჯანის კიდევ რამდენიმე რაიონის, რომელიც სომხეთს აქვს ოკუპირებული, ოფიციალური ბაქო ვერ აკონტროლებს.

ბაქოს არასოდეს დაუძლევა, რომ თუკი სამშვიდობო მოლაპარაკება ნაყოფს ვერ გამოიღებს, აზერბაიჯანი იტყუებს უფლებას, ძალის გამოყენებით დაიწყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ის, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება სიტყვას პაერზე არ ისვრის, მოითხოვს ამ სამხრეთკავკასიური რესპუბლიკის სამხედრო ბიუჯეტის არნახულ დონემდე — 3,5 მლრდ დოლარამდე გაზრდას, რაც სომხეთის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტზე შეტია. თუმცა მარტო სამხედრო ბიუჯეტის ზრდა რომ არ ემარა მიზნის მისაღწევად, ეს სამი წლისწინანდლმა აგვისტოს ომმა ოფიციალურ თბილისსაც დაანახა — მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 1,5 მლრდ დოლარს მიაუხლოდა, ზესახელმწიფოს იმიჯის ქონზე რუსეთთან ომი ხუთი დღეც არ გაგრძელდებოდა.

აზერბაიჯანის ხელისუფლება ინტენსიურად აპირებს არმიის გადაიარაღებას და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის აშუშაებას. ბაქოში სამხედრო აღდგომზე აზერბაიჯანელი არმიის თანამშრომლები შეიარაღდება აწყენის, მათ შორის მძლავრი ოპერატიული ტაქტიკური თუ საზენიტო-სარაკეტო სისტემები, რომელთა მსგავსი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ბევრ ვეროპულ ქვეყანასაც კი არა აქვს.

## აზერბაიჯანის ტერიტორიული გამოლიანებისთვის სომხეთთან ომზე წამსვლელი პრეზიდენტი ალიევი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებს აუცილებლად ითვალისწინებს...

აზერბაიჯანი პრაქტიკულად მზად არის ძალით დაკარგულის ძალით დაბრუნების პოლიტიკაზე გადავიდეს, რადგან სამშვიდობო მოლაპარაკება წყლის ნაყვას დაემსგავსა და აზერბაიჯანისთვის არაუარსებო აპირებს ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნებას.

ოფიციალურ ბაქოს ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას ის რეალობა უშლის, რაც მან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნახა, კერძოდ კი რუსეთის არმიის აშკარა დახმარება ოსი და აფხაზი სეპარატისტებისთვის.

ბაქოს არა აქვს გარანტია, რომ მთიანი ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში კრემლი ისევე აშკარად არ დადგება სომხეთის არმიის გვერდით, როგორც ეს სამი წლის წინ მოხდა. მით უმეტეს, გასულ 2010 წელს რუსეთმა და სომხეთმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული მნიშვნელობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად სომხეთში განთავსებულ რუსეთის სამხედრო ბაზას ევალება რეგიონში როგორც რუსეთის ფედერაციის ინტერესების დაცვა, ისე სომხეთის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ერთი მხრივ, მოსკოვი აქტიურად თანამშრომლობს ბაქოსთან და მას თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო სისტემა „ფურორიტც“ კი მიჰყვია. ხედავ რომ მართლაც დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, მთიანი ყარაბაღში, რაც ფაქტობრივად აზერბაიჯან-სომხეთის ომს ნიშნავს, სწორედ ამ „ფურორიტცით“ დაემუქრებიან აზერბაიჯანელი მქენიტკები სომხეთის აეროდრომიდან აფრინდ სომხურ მიოერიშეებსა და რუსულ „მიგ“-ებს.

ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ რუსეთი აშკარად არ ჩაერგა აზერბაიჯან-სომხეთის შესაძლო ომში? რა თქმა უნდა, არა, რადგან ნებისმიერ „ფურორიტცზე“ მეტად კრემლში სომხეთის, როგორც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მთავარი ფორპოსტის ინტერესი აქვთ, ამიტომაც რუსეთის შეიარაღებული ძალების (პირველ რიგში კი სომხეთში დისლოცირებული გეოუმრის რუსული სამხედრო ბაზის) მზარდაქტუის დიდი იმედი ერევანს ნამდვილად აქვს. სხვა საქეა, როგორი იქნება რუსული მხარდაჭერა — აშკარა თუ ფარული? საერაულოდ, თუკი აზერბაიჯან-სომხეთის მომავალ შესაძლო ომში ბაქო პირველზე ბრძოლებში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწევს, მაშინ მოსკოვის მზარდაქტუა მძიმე სიტუაციაში აღმოჩენილი კვერნისთვის აშკარა იქნება (სხვათა შორის, ოს სეპარატისტებს რომ შესძლებოდათ ქართული სამხედრო-პოლიციური დანაყოფების თვითნებ ძალებში მოკვრება 8 აგვისტოს, მაშინ შეიძლება რუსული ჯავშანიკოლონების უწყვეტი ნაკადი როკის გვირგვინს არც მისდგომოდა), ხოლო თუკი სომხეთმა არმიამ შესაძლო აზერბაიჯანელების შეტევას წარმატებით მოკვრება, რუსეთის დახმარება დაფარული იქნება.

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ 2008 წლის ცხინვალის ბრძოლები, რომელიც რუსეთ-საქართველოს ფართომასშტაბიანი ომში გადაიზარდა, მნიშვნელოვან და დამაწყობებელ ფაქტორად იქცა ოფიციალური ბაქოსთვის.

**ირაკლი ალაფაშვილი**

# ჩინების უნდა იყოს გზად ჩვენს რეპორტი



## ქართულ „უღაგოში“ — აღკვეთის განაკვეთი დასახული სარეპორტო შეკრების ავ-კარგი: აუგანელი სისხე, შიქვი საყოფაღმრთველო პირობები, უარესი სიტუაციი, გზაკვე კარგი სერკანგ-ინფორმაციი...

სარეპორტო შეკრებიდან მიღებული შობეჭდვლების განიარების სურვილი „არსენალიან“ იმ სამამ რეპორტისტმა გამოხატა, რომელმაც ივლისის ბოლოს დეფიგარეჯამი 18-დღიანი მომზადება გაიარეს.

საუბარში რეპორტისტი ლევანი არ მალავს, რომ ამ სარეპორტო შეკრებამ მას ბევრი ცუდი რამ დაანახვა, თუმცა კარგულ ლაპარაკიც არ უკრთ:

„მადლობა მინდა გადავუხადო კრწანისის სასწავლო ცენტრის იმ სერვანტ-ინსტრუქტორებს, რომლებიც მართლაც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ ჩვენ, რეპორტისტებს, რამე გვესწავლა. ხშირად, თუკი ჩვენი სურვილი იყო, დამატებით გავკეთილებსაც გვიტარებდნენ და შეკითხვებსაც ამომწურავად პასუხობდნენ, ანუ, თუკი რეპორტისტს მართლაც აინტერესებდა სამხედრო საქმის ელემენტარული დეტალების გაგება, მას ამის საშუალება ჰქონდა“, — ამბობს იგი, რომელსაც ეთანხმება კოტეც, შორე რეპორტისტი.

„მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრმა რეპორტისტმა, რომლებიც ამ შეკრების შემდეგ სერიოზულად ფიქრობდნენ შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტით სამხედრო სამსახურის დაწყებას, გადაიფიქრა, პირველ რიგში არარეგულარული სამსახურის და იმ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რაც მათ სარეპორტო შეკრების პირველივე დღეს ნახეს“, — განაგრძობს ლევანი.

„პირველივე დღეს, როდესაც თბილისში შეკრებილი 500-ზე მეტი ადამიანი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ჩავიყვანეს და თაკარა მზის ქვეშ დავაყვარეს, სწორედ მაშინ დაიწყო არარეგულარული სამსახურის მთელი ჯგუფი. წარმოიდგინეთ, სამედიცინო შემოწმება მხოლოდ სღამოს 6 საათზე გვიარეთ, ანუ დღის 8 საათზე შეკრებები 10 საათის განმავლობაში მშობები, აუტანელ

სიცხეში ველოდებოდი რეპორტში ჩარიცხვას. თუმცა სამედიცინო შემოწმების შემდეგ 500 კაციანი სარეპორტო სამსახურისთვის გარვისი ნახევარიც არ აღმოჩნდა სხვადასხვა სახის ჰეპატიტისა და სხვა დაავადებების გამო, მაგრამ სარეპორტო ბანაკში მანც მოხვდნენ ავადმყოფები. ერთი სერიოზული ფორმის დაბრუნებუ ჰქონდა და სპეციალური კვება სჭირდებოდა, რისი შესაძლებლობაც იქ ცხადია, არ იყო; ისე დასუსტდა, ერთი კვირის შემდეგ სახლში დააბრუნეს. შორეს კუჭი აწუ-

ხებდა, მაგრამ ბოლომდე დატყვევ. შესამეს ვერცხული დაავადება ჰქონდა და საბუთსაც აწვევებდა, მაგრამ მანც წამოიყვანეს და ბანაკში მალე ისე ცუდად გავხდა, გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც საკუთარი ხარჯით მოწვია წამლების ყიდვამ, მერე კი ისე ბანაკში დააბრუნეს“, — იხსენებენ ლევანი და კოტეც.

„არ ითვალისწინებდნენ ფსიქოლოგიურ მომენტსაც — სარეპორტო შეკრებზე წამოიყვანეს ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც შვილი 20 დღის



კოტეც ხანში მათი კომუნიკაციების ფორმის გამოაწვებენ...



რეზერვისტებს თორიულ მეცადინეობას სერანტ-ინსტრუქტორი მინდორში უტარებს



ლებს: ხელყუმბარების, პისტოლეტების („მკაროვის“), ავტომატების (AKM, AK-74 და M4) ტყვამფრქვევების (PKM, Negev-ი), სნაიპერული შაშხანების (СВД), ავტომატური და ხელის ფუმბარსატყორცების (АFC და РПГ-7); მართვად ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსის (Фагот) და დაჯეშუნული „პამის“ გაცნობა.

ცუდი ის იყო, რომ თავად არ შეგუძლო ავერჩია შენი სარეზერვო პროფესია, ზოგიერთის მართლაც უნდოდა РПГ-ს მსროლელად ჩაწერილიყო, მა-

გრამ არ გაითვალისწინეს და ისეთები აიყვანეს, ამ „შაითან ტრუბისა“ რომ ეწოდებოდა. ისე, ვუმბარტყორცნელები და მათი დამხმარეები ჯერ კრწანისის სასწავლო ცენტრში წაიყვანეს და იქ აუარჯიმეს სიმულატორებზე და შერე ჩვენთან, ალგეთში ასროლინეს ორ-ორი რეაქტიული ჭურვი.

სროლებისას რაღაც ვერ გათვალეს და ცეცხლი გამხმარ ბალახს მოედო და კარგა დიდი ფართობის საძოვრებიც კი გადაწვა.

წენ ე. წ. მსროლელებად გადაგაკ-



გარდაცვლილი ჰყავდა და იმ პერიოდში მისი რეზერვისტად მომზადება შეუძლებელი გახლდათ.

მობილურები, რომ აღარაფერი ვთქვათ ფოტოაპარატსა და ვიდეოკამერაზე. სასტიკად იყო აკრძალული... 500-ლარიანი ჯარიმითა და სარეზერვო შეკრების არათვლით ემუქრებოდნენ მათ, ვისაც მობილურს აღმოუჩენდნენ. ამის შესახებ მწეობრის წინ მუდმივად გვაფორთხილებდნენ და რამდენჯერმე ეგებებოდნენ, რომ კარკებში ჩვენი არყოფნის პერიოდში პირად ნივთებს გვიძოწებდნენ.“ — იხსენებს ლევანი.

რეზერვისტი სიმონი კი შეკრების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: „შპის ქვეშ 59 გრადუსამდე, ჩრდილში კი თითქმის 45 გრადუსი იყო. ასეთი აუტანელი სიცხის დროს რეზერვისტები სამინლად ითენებოდნენ და თორიული მეცადინეობის დროს, რომელიც ვულზე მიმდინარეობდა, უნებურად თვლემდნენ. როგორც სხვა ბანაკებში — მუხრანთან, პალდოში, თლავსა თუ სენაკში მომზადებული მეგობრები გვეუბნებოდნენ, მათ თურმე ემუქრებოდნენ, რომ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ალგეთის სარეზერვო ბანაკში გადაიყვანდნენ. სადაც ბევრად უფრო რთული პირობები იყო. არ ვიცი, ვის სჭირდება ამ გაუსაძლის სიცხეში რეზერვისტების შეკრება, ჩვენ რა, აუღანეთისთვის ხომ არ გვაშადლებენ, სადაც სწორედ ასეთი პირობებია?“

„ალგეთის სარეზერვო ბანაკში კამუფლირებული ფორმა, ბათინკები და ქუდი დაგვირიგეს. ისე, ჯობდა, ქუდის ნაცვლად პანამა მოეცათ, რადგან პანანა ქება შუშეი კისერი, ყურები და ცხვირი დაგვეწვა. ფორმისა და ბათინკების ხარისხს არ ვემღური, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ფეხები გადაიტყავა, — იხსენებს რეზერვისტი ლევანი.

„ოვლის-ავვისტოში ალგეთის ბანაკში ორი — 2006 და 2007 სარეზერვო ბატალიონები მზადდებოდა. დილის 6 სთ-დან საღამოს 10 სთ-მდე უნდა მოგვესწრო დილის გამახხნევაბელი ვარჯიში, რომელიც სულაც არ იყო ძალიან დატვირთული, წვერის ვაპარსვა და მოწესრიგება, საუშუმ, სადილი, გახშამი და, რა თქმა უნდა, მეცადინეობები.

თავდაპირველად თორიული მეცადინეობები გვეტარდებოდა. თორიულ მეცადინეობაში შედიოდა ქართული არმიის ქვეითი ბატალიონის შეიარა-

ნაწილს, AKM-ები დაგვირგვინებს, რკინის ჩაფხუტები დაგვაზურეს თავზე და ზურგზე დახული ზურგჩანთები აგვიადდეს.

თუორიულ მეცადინეობაში ასევე შედიოდა ტაქტიკური გადაადგილება აიუულისა და ოცეულის დინეზე, ტოპოგრაფია (კომპასი, რუკების კითხვა, კოორდინატების აღება და გადაცემა), კემირაგამულობა („პარისის“ რაკეტებზე ტალის სიხშირის დაყენება, მიღება და გადაცემა), პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

თუორიული სწავლებების შემდეგ, პრაქტიკულ მეცადინეობებზე AKM-ის დაშლა-აწყობასა და აარალის გამოყენებისას უსაფრთხოების წესებს გვიხსნიდნენ.

სრილამ სულ სამეურ მოგვყენია. პირველად 9 ტყვია გაასრილინეს 100 მ დისტანციაზე, რასაც, ალბათ, უფრო გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, რადგან რეზერვისტების დიდ ნაწილს ავტომატი ნასრილი საერთოდ არ ჰქონდა. მეორედ 27 ტყვია მოგვცეს და შუამოქმეხ ჩვენი ნასრილი ტყვიების მიზანში მოხვედრის შემუქულობა. 100 მ სიშორიდან მიზანში 6 ტყვია 15 სმ-ის რადიუსში უნდა მოგვეტყვა, რაც კარგ მაჩვენებლად ითვლებოდა.

მესამედ უკვე 40 ვაზნა გვანდეს.

რეზერვისტების სურვილია, რომ შეკრებებზე მათ უფრო მეტი ტყვია გაასრილინონ

100 მ-ზე (10 გასრილი), 200 მ-სა (20 გასრილი) და 300 მ-ზე (10 გასრილი) უნდა გვესრილა. ტყვიების მოხვედრის შემთხვევაში სამიხე წვებოდა და მერე ისევ წამოდგებოდა, რაც აადილებდა გასრილის სიზუსტის მამხევე დადგენას.

სერჟანტი-ინსტრუქტორები ცდილობდნენ წახალისებინათ კარგად მსოილელები, სხეებს კი შეედიოთ უთიფდნენ“, — იხსენებენ იაუიანი სარეზერუო შეკრებას ლევანი, კოტე და სამსონი.

„ამ სარეზერუო შეკრებიდან ერთი აუხდენელი ოცნება გამომყვა — მიწოდება თან წამომელო სოსისი, სახელწოდებით „მხედრული“ და თბილისში მისი ექსპერტიზა ჩამეტარებინა, რათა გამტკეყია, იყო თუ არა მასში შორცის ნატამალი. ბიჭებს ისეთი შთაბეჭდილება დადგერჩა, რომ მუყაოსგან იყო დამხადებული... — არ მალავს ლევანი და ამატებს: — შედარებით უკეთესი ხარისხის იყო სადილზე შემოთავაზებული გუფთა და სოუსი, თუმცა ქათმის ჩახოხბილმა თითქმის მთელი ბანაკი „მწეობარბადან გამოიყენა“. რა საჭიროა მტრის ტყვიები, თუკა ერთი ასეთი ჩახოხბილმა და სოსისის შემდეგ ვარისკაცები არაბრძოლისუნარიანები ხდებიან და მოწინააღმდეგის პოზიციე-

ბის ნაცვლად ტუალეტებს იღებენ ერთში?!

საკუეები ბანაკს ერთ-ერთი კერძი ფრმა უზრუნველყოფდა და ერთი-ორჯერ, როცხეც საკუების ხარისხი მართლაც ამარზენი იყო, მეთაურბამ (სერჟანტი-ინსტრუქტორებიც ჩვენი ერთად ცკვებოდნენ) აიძულა ამ ფირმის წარმომადგენლები, პროლეტებს თავად გაესინჯათ.

ალგეთის ბანაკში წყალი ცისტერნებით მოქმონდათ და საზღვაო კონტეინერბში მოწყობილ საშხაპებსა და პირსახანებთან მუდმთად დიდი რაგი იყო. სადამოს უნდა გაეკპარსა, რომ დილით მწეობრში დადლოს მოგესწრო. საშხაპების გაუმართაობის გამო ნაბანი წყალი ბოლო კაბინებში გროდებოდა, ამიტომ ბგერი იძულებული იყო, დაბანაზე უარი ეთქვა. კონტეინერბში ელექტროგაყვანილობის იზოლაცია დარღვეული იყო და ისევე ბი ძალეებით შეეკეთო, რომ ღენს არ დაერტყა. ტუალეტებს, პირსახანებსა და საშხაპებს დაქირავებული დამლაგებლები ადაეკენებენ, მაგრამ ანტიცხინატრია და საეციფიკური სუნი მაინც არ შორდებოდა ბანაკს“, — ჰყეუბა ლევანი.

„არ ვიამაშით გიურზებს! — გავფრთხილებდნენ ყოეულდე და ხელს გავქერინებდნენ 48-პუნქტიან უსაფრთხოების წესებზე, — აცხადებენ ჩვენიან საუბარში ალგეთის ბანაკის რეზერვისტები, — ქვეწარმეულები სერიოზული პრობლემა გახდლათ. როგორც გვითხრეს, ჩვენი წინა სარეზერუო შეკრებაზე სამი რეზერვისტი დაუტყენიათ გიურზებს. ანტიგაიურზინი ადგილზე არ ჰქონდათ, დამეუბლები მამხევე გორის პოსტიტალში უნდა გადაეყვანათ“.

„მიუხედავად ვველაფრისა, რეზერვისტთა დიდი ნაწილი ამ შეკრების შემდეგ მიხედა, რა რთულია ჯარისკაცური ცხოვრება. საყოფაცხოვრუო პირობები და საკუების ხარისხი უკეთესი რომ ყოფილიყო და ბანაკიც ასეთ უდარბო არ მოქეყო, პრეტენზია არაფერზე გვექნებოდა“, — დარწმუნებული არიან ჩვენიან მოსაუბრე რეზერვისტები.

ირაკლი ალდაშვილი

იმ რეზერვისტებს, ვისაც სურს გაუზიაროს „არსენალის“ მეთხეულს თავისი შთაბეჭდილებები, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ

ტელ: 238-83-07 (12)  
E-mail: arsenal@kvisripalitra.com

სტატიაში გამოყენებულია ფოტოები ოჯდრეის სამხინსტროს ჰაიტლანდს





# ჩრით ემუქრება NATO თურქეთს

ჩრდილოატლანტიკური  
ალიანსი აფრთხილებს თავის  
წევრ თურქეთს, რომ არავითარ  
შემოსუვეთზე არ შეიძინოს  
რუსული ან ჩინური წარმოების  
საჰენიგო-სარაკავრო სისტემები,  
ინააღივებ შემოსუვეთზე...



PAC-3 Patriot

„ცივი ომის“ დროს ვინ წარმოიდგენდა, რომ NATO-ს ხელმძღვანელობა ულტიმატუმს წაუყენებდა თავისი რომელიმე წევრი ქვეყნის ხელისუფლებას. წინააღმდეგობები ალიანსში, ალბათ, მაშინაც იყო (თუნდაც საბრძოლო შეტაკებები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ორ წევრ — თურქეთსა და საბერძნეთს შორის), მაგრამ ყველაფერს დიპლომატიურად, უხმაურად აგვარებდნენ.

დღეს კი NATO-მ თურქეთის თავდაცვის სამინისტროს გაუგზავნა ოფიციალური გაფრთხილება, რომ თუკი თურქეთის შეიარაღებული ძალები შეიმჩნენ რუსული ან ჩინური წარმოების ანტისარაკეტო ან საჰენიგო სისტემებს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ანკარას არ მიაწვდის ოპერატიულ სადაზვერუო ინფორმაციას რეგიონში ბალისტიკური რაკეტების სტარტების შესახებ. არადა, ანტისარაკეტო თუ საჰენიგო სისტემების ეფექტურობა მაშინ არის მაღალი, თუკი მათ გათვლენს მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების სტარტებისა და თვითმფრინავების აეროდრომებიდან აფრენისთანავე

გზავნებით შეტყობინება და მეტი დრო რჩებათ მოსაზრადებლად.

თურქეთმა NATO-ს „გაბრაზება“ ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყო, როდესაც შორი მოქმედების საჰენიგო-სარაკეტო სისტემების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა.

რამდენადაც დაუჯერებლად უნდა ჩანდეს, ბოლო წლებში ასე მომძლავრებულ თურქეთს, რომლის სახმელეთო ჯარები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველაზე მრავალრიცხოვანია, მოძველებული საჰაერო თავდაცვის სისტემა აქვს.

თურქეთის საჰაერო სფეროს იცავს შორი მოქმედების MIM-14 Nike-Hercules-ის, MIM-23 Hawk XXI-ის, საშუალო რადიუსის Rapier-ი, ახლო

ვრებულ თურქეთს, რომლის სახმელეთო ჯარები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველაზე მრავალრიცხოვანია, მოძველებული საჰაერო თავდაცვის სისტემა აქვს.

თურქეთის საჰაერო სფეროს იცავს შორი მოქმედების MIM-14 Nike-Hercules-ის, MIM-23 Hawk XXI-ის, საშუალო რადიუსის Rapier-ი, ახლო



თურქეთს ამ მოძველებული ამერიკული საჰენიგო „ნაიკ-ჰერკულესების“ ჩანაცვლება სურთ

**ჩვენი დღისი:** შორი მოქმედების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი MIM-14 Nike-Hercules-ი ჯერ კიდევ 1958 წელს მიიღეს აშშ-ის არმიის შეიარაღებაში. კომპლექსი გათვლილი იყო მსხვილი აღმინსტრაციული პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრებისა და სამხედრო ობიექტების საპაერო თავდაცვისთვის.

4850 კგ მასისა და 12,5 მ სიგრძის საზენიტო რაკეტას მაქსიმალურ, 140 კმ-მდე სიშორეზე (მინიმალური მანძილი 13 კმ-ს შეადგენდა) და 45 კმ სიმაღლეზე (მინიმალური სიმაღლე 1,5 კმ) შეეძლო საპაერო სამიზნის დაზიანება და ჩამოგდება. საზენიტო რაკეტა აღჭურვილია მსხვერვად-ფუგასური საბრძოლო ნაწილით, თუცა შეიძლება მისი ჩანაცვლება ბირთვული ქობინითაც, მაგრამ ბირთვული მუხტი მხოლოდ ამერიკულ „ნაიკ-ჰერკულესებზე“ იყო დაყენებული.

დღეს თურქეთის საპაერო თავდაცვის შეიარაღებაში „ნაიკ-ჰერკულესის“ 72 საზენიტო რაკეტაა, მაგრამ მალე მათ მოხსნიან საბრძოლო მორიგეობიდან.

სხვათა შორის, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებული „ნაიკ-ჰერკულესის“ დანადგარიდან გაშვებულ საზენიტო რაკეტას მაქსიმალურ, 140 კმ მანძილზე თბილისის თავზეც შეეძლო საპაერო სამიზნის ჩამოგდება...

## საზენიტო რაკეტის Nike-Hercules-ის სტარტი



## გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Hawk-ი



მანძილზე მოქმედების FIM-92 Stinger-ისა და ადგილობრივი წარმოების Atilgan PMADS-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები.

მართალია, თურქეთის საპაერო თავდაცვის სისტემა ემელონირებულია, მაგრამ შორი მოქმედების რადიუსის „ნაიკ-ჰერკულესები“ და „პოუკების“ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომელთა პირველი ვარიანტები ჯერ კიდევ ნაფეარი საუკუნის წინ იქმნებოდა, ნამდვილად ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

ამიტომაც ანკარას სურს გადაიარალოს საპაერო თავდაცვის სისტემა, რისთვისაც „საზენიტო“ ტენდერში გამარჯვებულს არანაკლებ მილიარდ დოლარს სთავაზობს.

თურქული მილიარდის მოსაპოვებლად ბრილია უკვე გამოაცხადეს ცნობილი ამერიკული ფირმა Raytheon-მა და Lockheed Martin-მა მოდერნიზებული PAC-3 Patriot-ით.



20 წლით ადრე, სანამ ქართველები რუსულ Ty-22M3-1-ს ჩამოაგდებდნენ, ჩადში ფრანგებმა ამერიკული „პოუკით“ ერთი ასეთი ლიბიური Ty-22 ჩამოაგდეს, რომელიც კადაფის მოსკოვმა მიჰყიდა




ვროპულმა კონსორციუმმა Eurosam-მა SAMP/T ASTER-30-ით, რუსულ-მა „როსობორონექსპორტმა“ C-300 ПМУ-ით და ჩინურმა კომპანია CP-MIEC-მა HQ-9-ით, რომელიც საბჭოთა C-300B-ის ჩინურ კონსის წარმოადგენს.

დიდი გამჭრიახობა არ უნდა იმის მიხედვას, რომ თურქულ ტინდერში გამარჯვების მეტი შანსი გაუმჯობესებულ ამერიკულ „პეტრიოტს“ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ „პეტრიოტები“ NATO-ს უმეტესი ქვეყნების საპაერო სერვისს აკონტროლებენ. გამარჯვების არანაკლები შანსი შეიძლება ევროპულ „ასტერებსაც“ ჰქონდეთ, მით უმეტეს, რომ ოფიციალური ანკარა დიდი ხანია ცდილობს ევროკავშირში გაწევრებას და ევროპელებთან მილიარდობით კონტრაქტის გაფორმება ნამდვილად დაეხმოს იმომედებდა ამ უსაშველოდ გაჭანურებულ პროცესზე.

ჩინელების შანსი მათი პროდუქტის შედარებით დაბალი ფასი განაპირობებს, რაც შეიძლება მართლაც მიმხილველი იყოს მსოფლიოს მესამე ქვეყნების მწირი ბიუჯეტებისთვის, თუმცა თურქეთის არმია, სეარაულოდ, მაინც ხარისხზე უფრო იქნება ორიენტირებული.

რუსული C-300-ები და მით უმეტეს, მისი მოდერნიზებული ვარიანტი C-300PMU-2 Фаворит-ი (როგორც მოსკოვმა უკვე მიჰყიდა აზერბაიჯანს) გამოირჩევა მაღალი ტაქტიკურ-ტე-

**ჩინური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი MIM-23 Hawk-ის** სერიოზული წარმოება ამერიკელებმა 1959 წელს დაიწყეს. 550 კგ მასის მქარასწავიანი, 5 მ სიგრძის საზენიტო რაკეტას შეუძლია მაქსიმალურ 40 კმ-ზე (მინიმალური-2,5 კმ) და 17,7 კმ (მინიმალური სიმაღლე 30-60 მეტრი) სიმაღლემდე დააზიანოს საპაერო სამიხნე. დღეს თურქეთის შეიარაღებაში უნდა იყოს მოდერნიზებული MIM-23 HawkXXI-ის 16 ბატარეა 48 საზენიტო რაკეტით. მოდერნიზებული „პოუკით“ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი გამოირჩევა კომპაქტურობით და გაუმჯობესებული რაკეტებითა და რადარებით, რაც საშუალებას იძლევა თვითმფრინავებისა და შეუვლმფრინავების გარდა, ეფექტურად გამოიყენებულ იქნეს ახლო მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტების გასანადგურებლადაც. სხვათა შორის, ამერიკული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს „პოუკ“ ეველაზე მეტი საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავი აჰყავს ჩამოგდებული. ისრაელის საპაერო თავდაცვის სისტემაში 1969 წელს საბრძოლო მოქმედებების დროს ეფექტის შეიარაღებაში არსებული არანაკლებ 12 საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდო, მათ შორის 4 გამანადგურებელ-ბომბ-დაშენი Cy-7 და 3 გამანადგურებელი MiG-21. 1987 წელს ჩადში ფრანგმა მეზენიტებმა „პოუკით“ ჩამოაგდეს ლიბიის ბომბდაშენი Ty-22, რომელიც კადაფის საბჭოთა კავშირში ჰქონდა ნაყიდი.



ქნიკური მახასიათებლებით, ოღონდ ამერიკული „პეტრიოტისგან“ განსხვავებით მას რეალურ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია.

თუ მოხდა საოცრება და ანკარამ არჩევანი მართლაც რუსულ ან ჩინურ საზენიტო-სარაკეტო სისტემებზე შეაჩერა, მაშინ აუცილებელი გახდება მათი ინფორმაციული მიხამა NATO-ს

საკაერო თავდაცვის სისტემასთან, რომელსაც ასე უფროსიან ბრიუსელში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა შიშობს, რომ ასეთ შემთხვევაში რუსებსა და ჩინელებს შეეძლებათ მოიპოვონ საიდუმლო ინფორმაცია NATO-ს საკაერო თავდაცვის სისტემის ფუნქციონირებაზე და სწორედ ამიტომაც აფრთხილებენ თურქებს არ გადადგან ასეთი ნაბიჯი.

თეორე მხრზე, NATO-ს წევრ საბერძნეთს უკვე რამდენიმე წელია შექმნილი აქვს რუსეთისგან C-300PMU-ს ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემის ორი ბატარეა, თუმცა ამის გამო NATO-ს პროტესტი ჯერ არავის გაუგია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სხვა წევრი ქვეყნების, მათ შორის — აღმოსავლეთ ევროპის, შეიარაღება-

**ნაშ360 დონი:** საშუალო მანძილზე მოქმედი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Rapier-ი დიდმა ბრიტანეთმა შეიარაღებაში 1971 წელს მიიღო. 45 კგ-იანი საზენიტო რაკეტის სიგრძე 2,23 მ-ია და მას მაქსიმალურ 6,8 კმ (მინიმალური 400 მ-ს შეადგენს) მანძილზე და 3 კმ სიმაღლეზე შეუძლია საკაერო მიზნების დაზიანება. საზენიტო კომპლექსი მუხლუხებიან შასხევა დამონტაჟებული ან ბუქსირებადი მისამართულით გადააქვთ.

თურქეთის არმიის შეიარაღებაში ირიცხება „რაპიარს“ 86 საზენიტო-სარაკეტო დანადგარი, რომელთაც მოდერნიზება თურქებმა და ბრიტანელებმა ერთად ჩაუტარეს.

შიც ასევე საკმაოდ მოიპოვება საბჭოთა და რუსული წარმოების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, მაგალითად, ჩეხეთის, პოლონეთის, ბულგარეთის თუ სლოვაკეთის არმიებში.

**ნაშ360 დონი:** ჩინური საზენიტო-სარაკეტო სისტემა HQ-9 საბჭოთა C-300B-ს ბაზაზეა შექმნილი, თუმცა საზენიტო რაკეტის დამიზნების სისტემა ძალიან ჰგავს ამერიკული „პეტრიოტისას“. 1300 კგ-ისა და 6.8 მ სიგრძის საზენიტო რაკეტა მოქმედებს 200 კმ-იან რადიუსსა და 30 კმ სიმაღლეზე.







თურქ სამხედროებს ადრეც მოუწევიათ საიარაღო ტენდერებში რუსეთთან მგალობა, თურქეთის არმიის სატანკო პარკის გასახლებლად მოწყობილი ტენდერში რუსული T-90C-ებიც მონაწილეობდნენ, საშველდომერუნო ტენდერში კი Ka-50-2 Erdogan-ი, მაგრამ არც ერთ მათგანში მოსკოვს არ გაუმარჯვებია. ალბათ ასე იქნება ახლაც და „სა-

ზენიტო“ ტენდერში, საფარაულოდ, მაინც ამერიკული „აეტრიტი“ გაიმარჯვებს, სამაგიეროდ ოფიციალური ანკარა თავსატეხს უჩენს NATO-ს და პირველ რიგში ამერიკელებს, რითაც ხაზს უსვამს თურქეთის დამოუკიდებელ პოლიტიკას.

**ჩ3360 ღოსიმი:**

ახლო მანძილზე მოქმედებაზე გათვლილი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Atilgan PMADS-ი, ფაქტობრივად, წარმოადგენს მიდევლს, რომელშიც დამონტაჟებულია ამერიკული ლიციენზიით თურქეთში აწეობილი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი FIM-92 Stinger-ი (8 ცალი) და 12,7 მმ კალიბრის ტყვიამურ-ქვეყვი. ამ მოდელის დაყენება შეიძლება როგორც ჯგუფმანქანებზე, ისე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.



P.S. მართალია საქართველოს ცა მაინც დაუცველია, მაგრამ ჩვენთვის სულერთი სულაც არ უნდა იყოს, თუ რა საზენიტო-სარაკეტო სისტემებით გაძლიერდება მეზობელი თურქეთი, მით უმეტეს, რომ მისი საზღერისპირა ტერიტორიიდან შორი მოქმედების რადიუსის მქონე თანამედროვე საზენიტო საშუალებებს ქართული ცის უდიდესი ნაწილის გაკონტროლება შეეძლებათ.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩ3360 ღოსიმი:** საფრანგეთისა და იტალიის მიერ ერთობლივად შექმნილი საზენიტო-სარაკეტო სისტემა SAMP/T 4-6 გასაშუებ დანადგარ Aster-30-ს აერთიანებს. ამ საზენიტო რაკეტას საპაერო სამიზნეების დაზიანება 100 კმ რადიუსისა და 20 კმ სიმაღლემდე შეუძლია. რაკეტის თავში განთავსებული აქტიურ-პასიური რადიოლოკაციური დამიზნების სისტემა საპაერო სამიზნის დაზიანების მაღალ ალბათობას უზრუნველყოფს.





# რა მოხდა სოხუმი 1992 წლის აპრილში

„XXI საუკუნის დამდეგს, როცა ჰუმანიტარულმა იდეებმა წარმოუდგენელი განვითარება მიიღო, აფხაზეთის რესპუბლიკის სათავეში მოსულმა აფხაზი ლიდერების პატარა ჯგუფმა ხანგრძლივი და საველდგულო მომზადების შემდეგ შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება შეძლო. აფხაზეთის მონოეთნიკური ნომენკლატურის ლიდერებმა მოხერხებული მანიპულირება გაუკეთეს ნაციონალურ-პატრიოტულ იდეებს, წამოაყენეს სუვერენული რესპუბლიკის ლოზუნგი და ზურგი შეაქციეს საქართველოს, რომელთანაც აფხაზებს მთელი ოცი საუკუნის მანძილზე საერთო სამშობლო აერთიანებდა“.

რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი ვლადიმერ ზოლოტარიოვი



აფხაზეთი ფორმირების სიმბოლიკა

ცხრაშეტი წლის წინ, 1992 წლის აგვისტოში, დაწყებულ ომს დღეს სხვადასხვაგვარად აფასებენ. არის მოსაზრება, რომ არა მამინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება აფხაზეთში ჯარების შეყვანაზე, ომის თავიდან აცილება აუცილებლად მოხერხდებოდა.

ეს მართლაც შესაძლებელი იყო, თუ მობარდაპირე მხარეც კეთილგონიერებას გამოიჩინდა, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში მოსული სეპარატისტების გეგმაში ეს არ შედიოდა და პრაქტიკით მოსკოვის მხარდაჭერა-წაქეზებით ვითარება გამწვავებისკენ მიჰყავდათ. 1991 წლის შემოდგომიდან დაიწყო მიზანმიმართული მოქმედებები საქართველოს სამართლებრივი სფეროდან გასასვლელად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის იღებს დადგენილებებს: „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“, „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“, „სამხობლივაციო რეგულაციის მექანიზმებისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაქვების შესახებ“ და სხვებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას ქინააღმდეგება.

კანონების ომს რაღაც დროის შემდეგ აუცილებლად ძალიანძვირი მოქვე-

ბოდა ძალიანძვირი ქმედებები და ამის რეალური საფრთხე ნამდვილად არსებობდა. სეპარატისტები ამას ხელაუდნენ და ემზადებოდნენ, — რუსეთიდან იარაღისა და საბრძოლო მასალის პარტიები შემოიქონდათ და საიძელი ადგილებში აგროუებდნენ.

აფხაზეთის სახალხო ფრონტის „აიდვილარას“ აქტივისტი ალტა ქვარაია: „ლენინგრადში ასპირანტურაში სწავლობდა „აიდვილარას“ ერთ-ერთი ლიდერი მუშნი ზვარცია, რომელმაც იქ მაგნო არხს, სადაც ვაზნებსა და იარაღს შოულობდა. ის ზედებოდა, რომ ქართველებთან საქმე უორმად არ დასრულდებოდა.“

ვაზნებს ჩვენი მფრინავები ხარიტონ ღვინჯილა და აფენქსანდრე ლაჭარა ეზიდებოდნენ სოხუმი-ლენინგრადის რეისით, ვაზნებით დატენილი ჩანთებით სოხუმის აეროპორტიდან სამეათაურო ითახის გავლით გამოდიოდნენ.

მფრინავებს მე თვითონ ვხვდებოდი და ვაზნებს „აიდვილარას“ შერთაში ვმალავდი.

ლენინგრადიდან იარაღი მატარებლითაც შემოდიდა. სერგო არშბა, გენადი ხაშბა და სხვები დაჯალბების შესასრულებლად იქ სპეციალურად იგზავნიდნენ.

ვაზნებით ასევე გვამარაგებდა აკუნ ქვირაია, რომელსაც კახაკეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

მე პირადად სოხუმიდან აძიუბაზე მამამისთან ვაზნები, ტყვიამჭრქვეფი, სნაიპერული შაშხანა, კარბინი და ფტორმატები გადავიტანე.

შემდგომში ეს იარაღი ძალიან გამოვადგა წითელ ხილსა და ზემო აფარასთან“.

ბევრად მეტი იარაღი აფხაზი სეპარატისტების ზღში საბჭოთა შინაგანი ვარების 91-ე მილიციის მობრუნებული სპეციალური ცალკეული ბატალიონის (სწ 5482) დაშლის შემდეგ აღმოჩნდა.

1991 წლის ბოლოს ბატალიონის დაშლა-გაუქმების საკითხი დადავ და 29 დეკემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადაცენილება „რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი სამხედრო და მილიციის სამხედრო ნაწილები კოორდინაციასა და დაქვემდებარებაში გადმოყვანასთან დაკავშირებით“.

შეიქმნა სპეციალური კომისია და ბატალიონის მიუღო შეიარაღება — 600-მდე ავტომატი და ჯვამანტქეიკის 6 ერთეული (3 БТР-70 და 3 БРДМ-

2), რამდენიმე ათეული ავტომობილი აფხაზებმა დაიტოვეს. სხვათა შორის, ჯეჰანტყეიკის ნაწილი ცუდ მდგომარეობაში იყო და ზოგერთს შეიარაღება მოხსნილი ჰქონდა.

გარდა ამისა, 1992 წლის გაზაფხულზე რუსეთის არმიის გულაეთის გარნიზონიდან კიდევ ოთხი BMP-1-ის ძილება მოხერხდა.

უფრო ადრე დაიწყო საბჭოთა არმიის რევებში მყოფი მცირერიცხოვანი აფხაზი ეროვნების ოფიცერთა ჩამოყვანა და მათ სამსახურის გაგრძელება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო კომისარიატების ისტეკემაში სთავაზობდნენ. ამ ოფიცერთა რიცხვები იყვნენ:

**პოლკოვნიკი სმრამი ღბარი** — მორტოროვანი დივიზიის შტაბის უფროსი, 1990 წლიდან სოხუმისა და სოხუმის რაიონის სამხედრო კომისარია;  
**მაიორი შიმტორ პაპასარი** — ტვერის საპაერო თევდაცვის სამეთაურო აკადემიის ოპერატიული ხელფენებისა და ტაქტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1992 წლის თებერვლიდან აფხაზეშია;

**მაიორი ვალდმირან აპშვანაძე** — ტვერის საპაერო თევდაცვის სამეთაურო აკადემიის კურსდამთავრებული;  
**კაპიტანი ვლადიმირ არბე** — სომხეთში დისლოცირებული სპარტილერი დივიზიონის შტაბის უფროსი, 1991 წლიდან ქალაქ ტყვარჩელის სამხედრო კომისარია;

**კაპიტანი მმრამ მთმარია** — ბოლოს მსახურობდა მე-40 არმიაში, ქალაქ კუშკაში (თურქმენეთი), 1989 წლის სექტემბრიდან ოჩამჩირის რაიონის კომისარიატშია;

1992 წლის იანვრიდან აფხაზები შინაგანი ჯარის პოლკის ფორმირებას შეუდგნენ. მეთაურად მილიციის პოლკოვნიკი გვი აგრბა დაინიშნა, ხოლო შტაბის უფროსობა 91-ე მილიციის ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა მაიორმა აღექსეი კლიმიკმა ჩაიბარა.

პოლკს შეუერთდნენ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები (ვახტანგ ცუგბა, მჭებე უსილი და სერგეი პიგარები და სხვ.), 91-ე მილიციის ბატალიონის მოსამსახურეები (მაიორი იური რომანოვი, ოფიცერი აღექსეი მოლოტოვი, პრაპორშჩიკი ვალერი თაქმატაშვილი და სხვ.) და მიხაილისკები.

31 მარტს გაწვევა გამოცხადდა და პოლკმა პირველი წვეკმდლები მიიღო. ძირითადი მასა აფხაზები და ნაკლებად რუსები, სომხები და სხვა ეროვნების



**1992 წლის 14 აგვისტოს ოხურეის პოსტთან დაღუპული საქართველოს შინაგანი ჯარების ტანკისტი იდიხეი ვიროვი**

წარმომადგენლები იყვნენ. პოლკში რამდენიმე ქართველიც მსახურობდა.

პირად შემადგენლობას დაურიგდა უნიფორმა ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სიმბოლოებით.

1992 წლის აპრილიდან პოლკი უშუალოდ არმინბას დაექვემდებარა და მხოლოდ მის ბრძანებებს ასრულებდა.

აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკი დაახლოებით 500 მოსამსახურეს ითვლიდა.

ორგანიზაციულად ორი ბატალიონისა და სასწვლო ასეულისგან შედგებოდა.

დისლოკაციის ადგილები იყო: სოფელი აჭანდარა (პოლკის შტაბი), დაბა აგუშერა (დაახლოებით 100-მდე სამხედრო), სოფელი ბაბუშარა (დაახლოებით 60-მდე სამხედრო), სოფელი კინდლი;

პოლკს საკონტროლო-გამშვები პოსტები გახსნილი ჰქონდა: სოფელ გუდავაში, სოფელ ოხურეთთან, მდინარე ენგურის საუვრთმობილო და სარკინიგზო ხიდებზე (პოსტი 1992 წლის 20 იანვარიდან ამოქმედდა);

1992 წლის მარტში არმინბამ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამშრომლობის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, აუციციის მარშალ ვეგენი შაპოშნიკოს ორი უწილით მიმართა: ერთით შინაგანი პოლკის ჩამოყალიბებაში დახმარებას ითხოვდა, ხოლო მეორეთი კი სოხუმში დისლოცირებული 901-ე სადესანტო მოიეროშე ბატალიონის პირადი შემადგენლობის ქალაქში პატრულორებისთვის გამოყენებას სთხოვდა.

აპრილის მეორე ნახევრიდან პოლკმა სოხუმში საკუშაგოები გახსნა, სადაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვული აფხაზი სამხედროები სატრანსპორტო საშუალებების ამოწმებდნენ, განსაკუთრებით ქართველი მძღოლების ავტომობილებს, რასაც არაერთი ინციდენტი მოჰყვა, რამდენიმე კაცე დაიჭრა და დაიღუპა კიდევ.

შუქმობელი იყო, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან არ-



**1992 წლის ივლისში აგუშერას ბაზაში შინაგანი ჯარების სოხუმის ბატალიონის ქართველმა ჯარისკაცებმა დაიკავეს**



მინბას ასე ეთყვება, რუსეთის სრული მხარდაჭერისა და დახმარების იმედი რომ არ ჰქონოდა.

მამინ ჩრდილო კავკასიაში რუსეთს პოზიცია შეერყა და ჩრდილო კავკასიელთა ყურადღების აფხაზეთში გადატანით მოსკოვი მდგომარეობას იმსუბუქებდა.

საქართველოს შინაგანი ჯარების სიხემის ცალკეული ბატალიონის შტაბის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი ელ-გუჯა ქობალაყა: „აფხაზური შინაგანი ჯარის თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. ამკარად ეშხადებოდნენ შეიარაღებული დაპირისპირებისთვის და ამის პრევენციისთვის საჭირო იყო ღონისძიებთა გატარება.“

1992 ილისის მეორე ნახევარში დაიგვიდა და ჩატარდა პოლიცია პირადი შემადგენლობის ბაჰუმარასა (სანატორიუმი „სოხუმი“) და აგუშქარს (ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორია) მოსამზადებელი ცენტრების ლიკვიდაციის ოპერაცია.

ბატალიონმა პოლკოვნიკ შოთა კვარაცხელიას მეთაურობით ოპერაცია მოულოდნელად ჩაატარა. მიწინააღმდეგე ამას არ ელოდა და ხანმოკლე სროლების შემდეგ აფხაზი სამხედროები წინასწარ მომზადებული გზებით გაიქცნენ.

აგუშქარში ჩვენს ბატალიონს ალაფდ ერთი BTP-70 და ორი BMP-1 დარჩა. ორივე ბაზაში ინახებოდა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის ვაზნები, ხელის ყუმბარ-სატყორცნები და სხვა შეიარაღება.“

1992 წლის ილისში სიხუმში ჩატარდა აფხაზურ-ადიღური კულტურის ფესტივალი, სადაც ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული შემსრულებლებს მრავალი ბოევიკიც ჩამოჰყა. ფესტივალი დასრულდა, მაგრამ ბევრი მისი მონაწილე თუ არამონაწილე დარჩა და ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯზე ბიჭვინთის ერთ-ერთ პანსიონატში ცხოვრობდნენ.

ამ როლზე ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მატარებლებზე თავდასხმები. იმარცხებოდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა თუ შუა აზიის ქვეყნებისთვის განკუთვნილი ტვირთით დატვირთული მატარებლები. ზარალი, რომელსაც ქვეყანა იტლებდა, ძალზე დიდი იყო.

მაიორი **იოსებ ჰაშაძემ**: „ე-ლისის ბოლოს, აგვისტოს პირველ რიცხვებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მდინარე ფსოლსად ენგურამდე მატარებლებზე თავდასხმა განხორცილდა. რკინიგზაზე წესრიგის დამყარებას პოლიცია ვერ ახერხებდა და არც შესწევდა ძალა.“

ეს განუკითხაობა და ქაოსი ვველაზე მეტად რუსეთის აძლევდა ხელს, — რაკი ტრანსპორტის მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს არ შეუძლია, ე. ი. მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ავტორიტეტი სუსტია და მუდმივად რუსეთის შემფრუნენ უნდა ვყოფილიყოფიყთი.

აფხაზეთის ხელისუფლება ყანადობის აღკვეთას ვერ ახერხებდა და არც უნდოდა, ამიტომაც დადგა რკინიგზის ხაზის დაცვის საკითხი.

მათერობის გვემა თივალისწინებდა: — რკინიგზის სადგურების, გვირაბებისა და ხიდების დაცვას, რისთვისაც დახლოებით 20-მდე საგუშაგოს ორგანიზება იყო გადაწყვეტილი;

— საგუშაგოებზე მსუბუქი ჯავშანტექნიკის განთავსებას, რაც საცეცხლე საშუალებასთან ერთად პირადი შემადგენლობისთვის ერთგვარი თავშესაფრის დანიშნულებასაც შეასრულებდა;

— სარკინიგზო შემადგენლობების შეიარაღებული დაცვით გაცეცხლება და ა.შ.; ოპერაციაში თავდაცვის სამინისტროდან მხოლოდ 200-მდე სამხედრო მოსამსახურე და მსუბუქი ჯავშანტექნიკის 15-მდე ერთეული მონაწილეობდა.

რაც მთავარია, ეს ღონისძიებთ კვადლავად არმინბასთან იყო შეთანხმებული“.

აფხაზეთში რკინიგზის დაცვის ოპერაციაში მთავარ როლს საქართველოს შინაგანი ჯარის ქვედანაყოფები თამაშობდნენ.

მაღლე გამოეა წინი „საქართველოს შინაგანი ჯარების საბრძოლო გზა“, სადაც აგვისტოს ის დღეები ქრონილოგიური თანამიმდევრობით არის გადამოცემული და ფართო საზოგადოება აფხაზეთის ომზე საინტერესო ინფორმაციას მიიღებს.

1992 წლის აგვისტოში კი მოელენებთ ასე განითარდა:

10 აგვისტოს — შინაგანი ჯარების სარდლობამ სახელმწიფოს მეთაურისგან აფხაზეთში შესულაზე მზადების ბრძანება მიიღო;

12 აგვისტო — შინაგანი ჯარების I ოპერაციული ბრიგადის, საბატალიონ პოლიკის, სპეცდანიშნულების პოლიკისა და სასწავლო ბატალიონის ქვედანაყოფების საფუძველზე დაახლოებით 700-კაციანი კოლონა მომზადდა. კოლონას თუიდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, „მხედრიონისა“ და რკინიგზის გასამხედროებელი დაცვის დანაყოფები შეუერთდნენ.

ეს ძალები დაახლოებით 1200 კაცს ითვლიდა და მისი თვითმმართველობა თუიდაცვის მინისტრს თვითვ კიტყარს დაეკალა.

14 აგვისტო — დილით კოლონა ზუგდიდიდან გავისცენ დაიძრა და 7 საათისთვის მდინარე ენგურის ხიდზე საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა.

ადმინისტრაციული საზღვრიდან დაახლოებით 30 კმ-ში, ოჩამჩირის რაიონის სოილე ოხურეთის მახლობლად მდებარე პოსტთან აფხაზური შინაგანი პოლიკის ქვედანაყოფი კოლონას ჩაუსაფრდა და ცეცხლი ხელის ყუმბარ-სატყორცნებთან და ავტომობილებს გაუსხსნა.

სოილის შედეგად დაიღუპა I ოპერაციული ბრიგადის ტანკები რიგითი ოდისეი ჯიროვი, დაიჭრნენ გიორგი დულაზე და ელდარ ლოცულაშვილი.

საბასუხო სოილის შემდეგ აფხაზ მებრძოლთა ერთი ნაწილი გაიქცა. სხვებმა არადაის დაყრა და ტყვედ ჩაბარება ამკობინეს.

ამოქმედდა ომის მანქანა და რუსული გვემის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებაზე იყო გათვლილი.

ომმა ქვეყნისგან მნიშვნელოვანი ადამიანური და სამხედრო რესურსები მოითხოვა



# სვან-გეიყ კენებრა ქართულ ეიზრასიუ

(გაგრძელება. დასწყისი იხ.  
„არსენალი“ №16, 2011)

საიდუმლო დოკუმენტს, რომელიც 1940 წლის 5 ნოემბრითაა დათარიღებული, ვიცვლი სათაური აქვს:

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА НКВД СССР № 4749/Б В ЦК ВКП(б) С ИЗЛОЖЕНИЕМ ДАННЫХ, ПОЛУЧЕННЫХ ОТ ЗАКОРДОННОГО АГЕНТА «ОМЕРИ», О ПОЛОЖЕНИИ В ТУРЦИИ И О ДЕЯТЕЛЬНОСТИ ГРУЗИНСКОЙ И КАВКАЗСКОЙ ЭМИГРАЦИИ В ЕВРОПЕ И НА БЛИЖНЕМ ВОСТОКЕ.

5 ноября 1940 г.

ვთავაზობთ ამ დოკუმენტის ქართულ თარგმანს (სტოლი დაცულია):

„სსრკ შსს-ის მოხსენება №4749/ბ კვ(ბ)-ს თურქეთში არსებული მდგომარეობისა და ქართული და კავკასიური ემიგრაციის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მოქმედების შესახებ, კორდონშიღმა მოქმედი ავტრ „ომერისგან“ მიღებული მონაცემებით“

ამა წლის სექტემბერში (ლაპარაკია 1940 წელზე – ბა.) სსრკ შსს-ს საიდუმლო დოკუმენტად თურქეთთან არაუკლებურად გადმოსული „ომერი“.

„ომერმა“ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის (მხედველობაშია საქართველო – ბა.) წარმატებამ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ასევე უკანასკნელ დროს შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ, მიიყვანა ის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გადარწმუნებულბაზე.

## ვინ იყვნენ „ომერი“ და „59-ე“?

„ომერმა“ მოგვჩვენა ინფორმაცია მისი კავშირის შესახებ „59-ე“-სთან. მის შესახებ მან შევკატეობინა შემდეგი:

„59“ საქართველოს მენშევიკური პარტიის აქტიური წევრია 1918 წლიდან. 1922 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის ჩეკამ დააპატიმრა და ერთი წელი პატიმრობაში გაატარა. მიიღო რა აქტიური მონაწილეობა 1924 წლის მენშევიკურ გამოსვლებში, იმავე წელს ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, სადაც 1930 წლიდან იყო მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს, ხოლო 1939 წლიდან – საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი.

1939 წლის სექტემბერში „59“ მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს და პირადად ნოე ჟორდანიას დაუკავშირებია პარიზში აწარმოებდა მღალაპარაკებებს საფრანგეთის, ინგლისისა და პოლონიის წარმომადგენლებთან... მათ შთსიაყვანს „59“ გამგზავრებულიყვი სირიაში გენერალ მაქსიმ ევიგანიან (1867-1965 წწ.), ხელთათვაზულიყ ადმოსავლეთ რაიონში საფრანგეთის შვიარალბული ძალების მოყარ-სარდლიან შესახედალ და კავკასიის საქეებში ვესკორების თურქეთის შესასრულბულად. 1940 წლის ფლის-სექტემბერში გენერალი ევიგანი საფრანგეთის ე. წ. ეიშის მთაროების თყდაცვის მინისტრი იყო.

ნოე ჟორდანიას მანდატით „59“ ვეგზავრა ბერეოში და დაუკავშირდა ევიგანს, რომელმაც შთსიაყვანა მას დამკრდრებულიყ სტამბოლში და მათი მითითებებით ემოქმედა.

1939 წლის ოქტომბერში გენერალმა გერგომ (საფრანგეთის სამხედრო ატამე თურქეთში – ბა.) „59“ წარუდგინა თურქ მარშალს ფეჟზი ჩაქსაქს.

თურქეთში „59“-ს დაუკავშირდნენ: სამხედრო ქარხნების მფლობელი, თურქეთის არმიის ყოფილი სარდალი ენერ-ფაშას ძმა ნური-ფაშა; თურქეთის მთავარი შტაბის წევრი გენერალი ორბეი (ნური-ფაშას სძე); მთავარი შტაბის დაზვერვის უფროსი გენერალი საჰიდ ოქული და მეჯლისის დეპუტატი მაჰმედ ოსთეჯანი.

ზემოაღნიშნული პარეპი არაერთი საუბარში ცდილობდნენ „59“-ის დარწმუნებებს თურქეთთან თანამშრომლობაზე, ამტკიცებდნენ, რომ თურქებსა და ქართველებს რუსეთთან ერთობლივი ბრძოლა და კავკასიაში ბუფერული სახელმწიფოს შექმნა აკავშირებდა თურქები მახნების მიღწევას მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას ან ინგლისს შორის ომის შემთხვევაში მიიწევენ შესაძლებლად. ამიტომ გადაწყვიტეს, მზარი დაუჭირონ კავკასიელების, განსაკუთრებით კი ქართველების ანტირუსულ მოქმედებებს, რომლებსაც ისინი ყველაზე აქტიურ ელემენტად თვლიან. ამასთან, ნური-ფაშამ და გენერალმა ორბეიმ „59“-ს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს.

სტამბოლში ჩასვლიდან მალე „59“-მა პარიზშიან „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ თყველობარის აკაკი ჩხენკლისგან წინადადება მიიღო აზრთბიყვანის შესავატელების ხელმძღვანელ სოსრო-ბე





იოსებ სტალინი



ნოე ფორდანბა



ნოე რამიშვილი

სულიანოვთან ერთად სტამბოლში „კავკასიის კონფედერაციის სამკოს“ ფილიალის შექმნის შესახებ ფილიალის შექმნა ახლო აღმოსავლეთში ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანებით იყო მოტივირებული.

ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგად 1939 წლის 26 დეკემბერს შეიქმნა „კავკასიის კონფედერაციის სამკოს“ სტამბოლის ფილიალი, სადაც ქართველი მუშაკებიდან შედგნენ: „59“ და ალექსანდრე გოზალიშვილი...

„59“ აგრეთვე არის ემიგრანტული ორგანიზაცია „პრომეთუს“ კომიტეტის წევრი. როგორც „კავკასიის კონფედერაციის სამკოს“, ასევე „პრომეთუს“ კომიტეტი ინვალსიდა მოთხოვნით თურქეთის ხელისუფლების მხარველობაში იმყოფებან.

„59“-მა აცნობა „ომერს“, რომ მთლანურად განზრახვა საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შემთხვევაში ბაქოს და ბათუმის დაბომბვის შესახებ.

„59“-მა განცხადდა „ომერს“, რომ ის აპროტესტდება ამ ქაღალეტის დაბომბვის და აცნობა, რომ მისი პარტიიდან გამგზავრების წინ ფორდანბა შესაძლება შეძლებდეს: თუ მოწინააღმდეგეები მოამბლდნენ საქართველოში სამხედრო შეტერას, გაეერთიბილებინა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარატი (ანუ ლაგერებში ბერი) – ბა.).

ქართველი ემიგრაციის მდგომარეობისთან დაკავშირებით „59“-მა „ომერს“ განცხადება: ქართველი მუშაკების საზღვარგარეთის ბიუროს აუქციონირებო არის კოჩია გვარჯალაძე, რომელიც იმდროულად II ინტერნაციონალში საზღვარგარეთის ბიუროსთვის წარმოადგენს...

ნოე ფორდანბა ფორმალურად მხოლოდ ბიუროს წევრია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან და კონსპირაციულ (ანუ განსაკუთრებით საიდუმლო – ბ. ა.) საკითხებს წვევს, რაშიც საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი სანდრო მენდარიშვილი და „59“ ცხმარებან.

საზღვარგარეთის ბიუროს შემადგენლობაში II წევრი და 2 კანდიდატია: ნოე ფორდანბა, კოჩია გვარჯალაძე, სანდრო მენდარიშვილი, ვეკევი გვარჯალაძე, კალე ქეთიარაძე, ვლასი მგელიაძე, ნიკიტა ვარდიანი, „59“, ივანე ჭეჭვანიძე, გრიგორ ურატაძე და პელო სარჯულაძე; კანდიდატები: ვლიყო ინწორეული და იოსებ სალაყაია.

C-300-ის გასაბერი მაკეტი რეალურის ღირებულების 1%-ს შეადგენს, ხოლო ექსპლუატაცია კიდევ უფრო იაფია.

**მაკეტი იბერება ჩვეულებრივი კომპრესორით ან ავტომობილის გამონაბოლქვი აირით. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ფიგურაწლიურად სამხედრო დანაწილებისთვის სხვადასხვა სახის 100-მდე მაკეტის შექმნას აპირებს და უახლოესი პერიოდისთვის მათი რაოდენობა 800 ერთეულს მიაღწევს. თავდაცვის უწყება ასევე პერსპექტიული ნიმუშების შექმნასაც აფინანსებს.**

რუსულ ნიმუშებზე დიდი მოთხოვნა იმ ქვეყნებში, სადაც შესაბამისი ტიპის შეიარაღება და ტექნიკა აქვთ, თუმცა დაინტერესებას სხვადასხვა გამოხატავენ, ოღონდ ძირითადად სასწრაფო მიზნით გამოყენებისთვის. ჯერჯერობით რუსეთი ამ ნიმუშებს საზღვარგარეთ არ ყიდის.

მიუხედავად იმისა, რომ მაკეტები ორთქლს მოყოფილი ომსა და შემდგომ კონფლიქტებში აქტიურად გამოიყენებოდა,

დაწვევულია პოლემიკა თვითმფრინავებისა და ჯავშანტექნიკის სპეციალური პრემატური (გასაბერი) მაკეტების გამოყენების მაზნაშეწინააღმდეგ.

ამ იდეის მომხრეთა აზრით თანამედროვე დაზვერვის ტექნიკური შესაძლებლობები მოწინააღმდეგეს „თავის მოტყუების“ საშუალებას არ მისცემს, ხოლო პრემატური მაკეტები საჭიროა საერთო-საჯარისო ცერუპოზიციების მოწყობისთვის, ჯავშანტექნიკის შორ მანძილზე რკინიგზით ტრანსპორტირებისა და ავტოგამწეობით გადატანის მხედველობიანი იმიტირებისთვის, თვითმფრინავების თავმოყრის ცერუპოზიციების სანეიტხებად და სხვ.

სამხედრო ტექნიკის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ძნელი და შრო-

მატკვდი პროცესია, რომელიც შეკარად რეგლამენტირებული პროცედურებით გამოირჩევა.

მაგალითად, თუნდაც ის, რომ რკინიგზით ტანკის გადატანისას კომპურა აუცილებლად შეტრიალებული უნდა იყოს, ხოლო ლულა მჭარად დამატებული, მოითხოვს კომპურაშერუნებელი მაკეტების გამოშვებას.

თუკი ეს ზომები დაცული არ იქნება, მასინ გასაბერი მაკეტები რკინიგზით გადატანისას ადვილად შესაძლებელია შემხვედრი პაერის ნაკადის ზემოქმედებით პლატფორმებიდან გაფრინდნენ.

კიდევ უფრო ძნელია საპაერო ტრანსპორტით ტექნიკის გადასროლის იმიტირება: რა თქმა უნდა, შესაძლებელია ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავით 30-40 დაკეცილი მაკეტის გადატანა, მაგრამ მტრის დაზვერვის დასარწმუნებლად საჭიროა არაერთი გაფრენა-დაჯდომის ინსცენირება, რაც საწყების ხარჯის გათვალისწინებით ძვირად ღირებული „სიამოვნებაა“.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ტექნიკის ეფექტურობის სუსტი მხარეები შესაძლებელია გამოიყვანდეს მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასროლის დროსაც. ეს გამოიყვანა იმ გარემოებით, რომ ამ პროცესში მოწინააღმდეგის უპირავე ადამიანი, რაც მათში ავერტის ჩანერგვის შესაძლებლობებს ზრდის.

ვინაიდან მაკეტი რეალური საბრძოლო ტექნიკის ზუსტი ასლია, ამიტომ რეალურის მსგავს ინფრანითელ, თბურ რადიოლოკაციურ გამოსხივებას საჭიროებს, რაც სათანადო ტექნიკურ „ეშმაკობებს“ მოითხოვს. მაკეტების რთული და ძვირად ღირებული საშუალებებით აღჭურვა კი თვითღირებულზეაზე აისახება.

თვითმფრინავის მაკეტი საშუალოდ 1,2 მლნ რუბლი, ხოლო ტანკი კი 450



## თალიზი

თვის გაღანერგვის კლინიკა



ათასი რუბლი ღირს. ფასი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, თუკი გათვალისწინებულია კლიმატურ პირობათა თვისებებზე და სეზონური გადაღების აუცილებლობა.

რაც ექსპერტთა მოსაზრებით, თანამედროვე ბრძოლის ველზე მატეტების გამოყენებას მხოლოდ ემიზონური ხასიათი ეწევა — მატეტო მორინააღმდეგის მხოლოდ დემონსტრირებას შეძლებს და მას ვერც ბრძოლისთვის და ვერც საფრადე ვერ გამოიყენებ. ასე რომ, მატეტების მორინააღმდეგეთა აზრით, მატეტების შესანიშნავი ვიზუალური თუ ტექნიკური იმიტაციის მიუხედავად, მათგან სამხედრო მეთაურობა დიდ სარგებელს არ უნდა ელოდოს.

მსხვილგაბარიტული სამხედრო ტექნიკის მატეტების უპირველესი დანიშნულებაა მოატყუოს მორინააღმდეგის საპაეო და კონსილიო დანჯერვა. მათი საშუალებით იქმნება ცრუსაბრძოლო პოზიციები და რაიონები ფიქციური სამხედრო ვალდაცემებით, რაც მორადაპირეს აძულებს საბრძოლო რუსურსება დაანჯეროს, გაზარდოს ძვირად ღირებული ზეუსტი საბრძოლო მასალის ხარჯი და შეცდომაში შეიყვანოს.

არ უნდა დაფიქვით, რომ საომარი მოქმედების საწყის ფაზაში მორინააღმდეგე პერსონალადმდეო დაცვის სისტემათა ჩასახშობად ძვირად ღირებულ თვითმფრინავებსა და საბრძოლო მასალას გამოიყენებს.

ამ პერიოდში დრო კრიტიკული ფაქტორია. სწორედ ამ ფაზაში თვდაცვაში მყოფებისთვის ყველაზე ეფექტურია მატეტების გამოყენება, რაც მორინააღმდეგის ძალებისა და რუსურსების დაქსაქსვა-გახარჯვას გამოიწვევს.

ექსპერტებმა ასევე კარგად გაითვალისწინეს მფრინავის ფსიქოლოგია — თვდაცვის ინსტინქტიდან გამომდინარე ის აღმოჩენილი მიზნებისა და უბირველეს ყოვლისა საზენიტო დანადგარების დაუყოვნებლო განადგურებას იწყებს და მათ იდენტიფიცირებაზე დროს არ კარგავს.

მორინააღმდეგის რაკეტებისა და ბომბების მიხედვით მატეტები რეალურ ტექნიკის გადარჩენის მნიშვნელოვან პანის უტოვებს.

ეს საშუალება ნაკლებად სჭირდებათ აშშ-სა და NATO-ს წევრ სხვა ქვეყნებს, რომლებსაც იმის პოტენციალი აქვთ, რომ მორინააღმდეგეს პაერში ბატონობის უფლება არ მისცენ, მაგრამ საქართველოსა და მსგავს სახელმწიფოებს უდავოდ გამოადგებათ.

**ზოგჯერ ტანკებს სატვირთო ავტომობილებად ნიღბადენენ**



ამ პროცესში დიდი და მცირე დეტალები არ არსებობს. ყველაფერი კომპლექსურად და გულდასმით უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს.

მორინააღმდეგის შეცდომაში შესყვანად მატეტების გარშემო დღის განმავლობაში მუდმივად უნდა იყოს მორიგე ჯგუფი, რომელიც საბრძოლო მორიგეობისა და ყოველდღიური საქმიანობის იმიტაციას შექმნის.

რეალურობასთან მაქსიმალური მიმახლოების მიზნით გასაბერი მატეტებით შექმნილი პოზიციებისგან ბორბლებისა და მუხლებების კეალი უნდა მიემართებოდეს.

მატეტების გამოყენებისას შენიღბვის ერთ-ერთი მეთოდაა იმიტირებული ტექნიკის ტიპისა და რაოდენობის შესაბამისი საწვავ-საპოხი მასალისა და ხარჯის დოკუმენტური ასახვა. ამისათვის კი შეიძლება საწვავის მიწოდებულ კომერციული ფირმების ხელშეკრულებებისა და ზედნადებების გამოყენება. ურადსაღებთა ის გარემოებაც, რომ შედარებით იაფ მოდელს ჰქონტოლის კლუბები დიდი სიახუნებით ყიდულობენ.

**გაბტანზ კაპანაძე**  
ბრიგადის გენერალი,  
გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი



გასაბერ ტანკს  
გასაბერი ჯარისკაციც  
ზომ სჭირდება

# ავგუსტუს ოქტავიანე

მ. წ. 63 — ახ. წ. 14



## ძროწოლობია

\* ძვ. წ. 63 წელს დაიბადა 23 სექტემბერს.

\* 51 სიტყვა წარმოითქვა ბუბიის, იულიუს კეისრის დის, იულიას დაკრძალვანზე.

\* 46 სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ თან ახლდა კეისარს ტრიუმფალურ ზეიმზე.

\* 44 კეისარი მოკლეს. ოქტავიანე რომში დაბრუნდა მეშვიდეობის მისაღებად.

\* 43 ოქტავიანემ, მარკუს ანტონიუსმა და მარკუს ლევიუსმა ტრიუმფალური შექმნეს.

\* 42 ოულიუს კეისარი დემოკრატიული რევოლუციის კლდე ფილიპესთან ორ ბრძოლაში დაამარცხა კასიუსი და ბრუტუსი.

\* 36 ლევიუსი ხელისუფლებას ჩამოაშორა და სრულიად დასავლეთ იმპერიას დაეპატრონა.

\* 31 აქციუმის ბრძოლაში მარკუს ანტონიუსი დაამარცხა.

\* 30 დაიბარა ეგვიპტე.

\* 27 მიიღო კეისარ ავგუსტუსის წოდება.

\* 20 კონტროლი დააწესა სომხეთზე.

\* 17 გამართა ტერენტინის თამაშები.

\* 16-15 გადაკეთა ალაბები და იმპერიის საზღვრები აღნიშნულ გააფართოვა.

\* 12 გახდა Pontifex maximus — დიდი პრინციპალი — უზენაესი ქურუმი.

\* 9 იმპერიის საზღვარი ელბამდე გადასწავა.

\* ახ. წ. 6 წელს იუდეა დაიპყრო.

\* 14 გარდაიცვალა 19 ავგუსტოს.

## ოჯახური კავშირება

დაიბადა ძვ. წ. 63 წელს მდიდარ ოჯახში, ველიტრეში, რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაბადებისას გაიუს ოქტავიუსი დაარქვეს. 17 წლისა კეისართან ერთად მონაწილეობდა აფრიკაში გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე, რის შემდეგაც დიქტატორი გახდა, ერთი წლის თავზე კი კეისარს ესპანეთში გაემგზავნა.

როდესაც იულიუს კეისარი მოკლეს, ოქტავიანე სამხედრო წვრილნას აპოლონიამო (დღევანდელი ალბანიეთში) გადიოდა. როგორც კეისრის შვილობილი და პოლიტიკური მემკვიდრე, თავის თანატოლ აგრიპასთან ერთად მამინევი იტალიაში დაბრუნდა.

ოქტავიანეს რომში გამოჩენა არ გახარებდათ მის პოლიტიკურ ოპონენტებს, მათ შორის კეისრის თანამაზრეს და პოლიტიკოს მარკუს ანტონიუსს, რომელსაც მიანდა, რომ თავად იყო კეისრის მემკვიდრე და ძალაუფლებას მისი უნდა ყოფილიყო. კეისრის ვალების დასაფარავად და ტერენტინის თამაშების გასამართად ოქტავიანემ ჯერ თავისი, შედგომ კი დედასა და მამინაცულის ქონება გაყიდა, რითაც ხალხს გული მოეგო. მისი პოპულარობა რომში დიდი დღე იგრძლებოდა. როცა სენატს და ანტონიუსს შორის განხეთქილება გამწვავდა, ოქტავიანემ კეისრის არმიის ეფეტრანები იმხო, ანტონიუსის ორი ლეგიონი გადმოიბარა და მუტინასთან (დღევანდელი მოდენა) დაამარცხა.

ანტონიუსი გალიაში გაიქცა. გამარჯვებულმა ოქტავიანემ კონსულობა მოითხოვა. ამიერდან ის თავს გაიუს იულიუს კეისარს უწოდებდა და კეისრის შვილად ცხადდებოდა. ახლა შეუძლო, როგორც თანასწორს თანასწორთან, მოლაპარაკება გაემართა ან-

ტონიუსთან. ოქტავიანე ბონონიაში (ახ. ბოლონია) შეტევა გალის მმართველ ემილიუს ლეპიდუსს, მასთან თვშეფარებულ მარკუს ანტონიუსს და ძალაუფლება გაინაწილეს. ანტონიუსს აღმოსავლეთი, ხოლო ოქტავიანეს დასავლეთი პროვინციები უნდა ემართა, ლეპიდუსს კი აფრიკა. შთანხმება დაედო კეისრის შტრის, დიდი პომპეუსის ვაჟთან, სექსტუს პომპეუსთანაც — მისი ძალაუფლება სარდინიანზე, სიცილიასა და კორსიკაზე ვრცელდებოდა.

42 წელს ანტონიუსი და ოქტავიანე მაკედონიისკენ გაემართნენ იულიუს კეისრის მკვლელებთან, ბრუტუსსა და კასიუსთან შესაბამისობა და ქალაქ ფილიპესთან სასტიკად დაამარცხეს. ტყვედ ჩაგარდნის შიშით ორივემ თავი მოიკლა. სანამ ანტონიუსი გალიაში ბრუნდებოდა, ოქტავიანემ მისი მძა და ცილი დაამარცხა პერუზინის ომში. ამასობაში სექსტუს პომპეუსმა დაარღვია შთანხმება და ოქტავიანემ სიცილიაში ჯარი გადასხა. მისმა ერთგულმა მარკუს აგრიპამ სექსტუს პომპეუსი დაამარცხა.

შთანხმების განსამტკიცებლად, ანტონიუსმა, რომელსაც მთელი ზამთარი კლევოპატრასთან ჰქონდა გატარებული, ოქტავიანეს და, ოქტავიანე შერთო ცოლად. ოქტავიანემ კი ლეპიდუსი გადააყენა და მთელი დასავლეთის მმართველი გახდა. ძალე ანტონიუსსა და ოქტავიანეს შორის ისევ განხეთქილება ჩამოყარა — ანტონიუსი ოქტავიანე გაყვარა კლევოპატრანზე დასაქორწინებლად.

ოქტავიანემ კლევოპატრას ომი გამოუცხადა. 31 წელს ანტონიუსი და კლევოპატრა რომაელებს გაერთიანებული ძალებით შეერბოდნენ აქციუმთან, საბერძნეთის დასავლეთ ნაპირზე, სიდაც დაამარცხდნენ. მათი თვით-



მკვლელობის შემდგომ ოქტავიანემ ეგვიპტე თავის იმპერიას შეუერთა. ის ახლა ბერძნულ-რომაული სამყაროს მბრძანებელი იყო.

### აირველი იგვარატორი

რომში დაბრუნებულმა პრეტორიული გვარდია შექმნა, რათა თავისი მმართველობა გაემტკიცებინა, და თავის წოდებას „აგუსტუსი“ დაუმტკიცა. ასე რომ, აგუსტუსი კეისარი გახდა. გარდა ამისა, ის კონსულიც იყო, რაც სენატის ფიციტ პქონდა დამტკიცებული, მიანიჭებს ტრიბუნის საპატიო წოდებას, თანაც არაერთი წლით, როგორც წესი ითვალისწინებდა, არამედ სამუდამოდ.

მაღე ერთგულ აგრეპასთან ერთად აღმოსავლეთს მიამურა, სადაც სომეხთა პროტექტორატად გაიხადა, აგრეპამ კი ეხსანეთი დაიმორჩილა. ასე

რომ, ტერენტინის თამაშებში რომში ახალი ერის დაწყების აღსანიშნავად მუშეიდევკერ გაიმართა. აგუსტუსმა იმპერიის ადმინისტრაციის ცენტრალნიზაცია მოახდინა და სახლერები შეეიცარიის, ავსტრიისა და გერმანიის ხარჯზე ჩრდილოეთით გააფართოვა. სამი ლეგიონი შექწირა გერმანელი მხედართმთავრის, არმინიუსის აჯანყების ჩახშობას, რომელიც იმპერიის სახლერების გაფართოებას აფერხებდა.

ვაჭრობის ზრდამ, დაბევკერის ახალმა სისტემამ და შინამშვილობამ იმპერია განუხომლად გაამდღრა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აგუსტუსი ფაქტობრფად იმპერიის ადმინისტრაციული გამგებელი იყო. ის ახ. წ. 14 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა, 17 სექტემბერს კი დღემოდ აღიარეს. მემკვიდრედ მისი გერი ტიბერუსი გამოცხადდა.

### აქციონის ბრძოლაში ოქტავიანემ ანტიონუსი დაამარცხა



### კეისრის კავლდაკვალ

\* იულიუს კეისრის მკვლელობიდან ხუთი თვის შემდეგ ბრუტუსსა და კასიუსს მარკუს ანტიონუსმა რომიდან მაკედონიაში გადახვეწა აიძულა, სადაც მათ ჯარი შეკრიბეს მის წინააღმდეგ. 43 წლის თებერვალში სენატმა მათ აღმოსავლეთში უძაღლეხი სარდლობა შესთავაზა. ისინი ქალაქ ფილიპეში იყენენ დაბანაკებულნი, როდესაც ოქტავიანემ და მარკუს ანტიონუსი ჩაიფინენ 42 წლის ოქტომბერში. პირველ ბრძოლაში ბრუტუსმა ოქტავიანეს სძლია, მაგრამ კასიუსი მარკუს ანტიონუსმა დაამარცხა და მის გაახატებულ მონას უბრძანა, მიკალით. ბრუტუსი სამი კვირის შემდეგ ანტიონუსისა და ოქტავიანეს გაერთიანებულმა ჯარამ დაამარცხა. ბრუტუსი მიხვდა, რომ რესპუბლიკას საფუძველი გამოეცალა და თვი მოიკლა.

\* მას მერე, რაც კლეოპატრა აქციონის ბრძოლიდან გაიქცა (31 წელს), ანტიონუსმა თავისი ხომალდების გამოყვანა სცადა, რათა ბრძოლა განევრძო, მაგრამ მისი ფლოტის მხოლოდ მეთიხედი გადაურჩა განადგურებას. ანტიონუსი და კლეოპატრა ეგვიპტეში გაიქციენ. ოქტავიანემ მათი დღენა არ შესწვიტა და ეგვიპტე ერთ წელიწადში დაიმორჩილა. წვეილმა კი სიცოცხლე თეთიმკვლელობით დაასრულა. ოქტავიანემ კლეოპატრას იულიუს კეისრისგან შექმნილი ვაჟი — პტოლემე XV სიკვდილით დასაჯა, კლეოპატრას ქონება კი ჯარისკაცების ჯამაგირის გასასტუმრებლად გამოიყენა.

## ქარნალი „ისტორიანი“

### წარმოგიდგენთ! გომი VI

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი სრული მარკინა ბ. გომი

ყვესაველინი საგჟოთი სანაზარის მიერ გამოცხადებული მონაკვეთი



„ისტორიანი“ ყოველ ნომერიდან ერთად, დევემი ერთხელ შეიკლებთ შეიძინით „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (ნიგნის ფასი 3 ლარი) უკვე გამოცხადებული ტომები შეიკლიათ შეიძინით ნიგნის მაღაზიებში



მონზუბარ ადამიანს სულისკვეთება არ უნდა გაუქრეს

# „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ მიერ აღდგენილი ქალაქური კრივი

## ტრავმით დასრულებული ღირსეული შპრაკინება

„კრივი ჩვენთვის, თბილისური ჩვეულებაა. საგულისხმოა, რომ სხვა ერს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს, მაგალითად, რუსს სილა უფრო ემარჯვება. ვარაჩილულსაც უყვარს სილა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, ამქრის დღეხასწაულზე... ისე კი, ყარაჩილელი ჭკუის სასწავლებლად მხოლოდ „ბრმა სილას“ ხმარობს (სილა — ხელის ზურვიც გარტყმით). კრივის დროს კი დოვა-დოვა მიდიოდნენ ერთმანეთზე“, — გვიყვება იოსებ გრიშაშვილი ქალაქურ კრივზე, რომელიც თბილისში უძველესი დროიდან იმართებოდა, თუმცა გასაბჭოების შემდეგ აიკრძალა და თითქმის ერთი საუკუნე შეიწყვეტას მიეცა. დღეს სპორტის ეს სახეობა აღდგენილია და ბევრი მოყვა-

რულიც ჰყავს.

24 ფელის ეთნოგრაფიულ მუზეუმში საგანგებოდ ქალაქური კრივისა და ბრძოლა წესების გარეშე დასასწრებად მისულმა როგორც კი ძველ ქართულ სამოსსა და საბრძოლო იარაღში გამოწყობილი მამაკაცები შევნიშნე, მაშინვე იოსებ გრიშაშვილის სიტყვები გამახსენდა.

ზოგი ქარქაშიდან ამოღებული ხანჯლის თამაშით იყო გართული, ზოგიც გრძელ, ძველი ქართული წესით დამზადებულ მათრახს ატყვალაშენებდა. რამდენიმე გაგანია სიცხეს არაფერად დაგვიდგვადი და ბრძოლის მოლოდინში თვალუბანთებული ჯავჯის პრანჯს ირგებდა. გარეშე დიდი მხიარულება და ცეკვა-თამაში იდგა, მაგრამ ყველაზე მეტი ინტერესი და ყურადღება მათგან იყო მიმართული. მალე სეირის მოყვარულთა წრე შეიკრა.

სანამ ორთაბრძოლა დაიწყებოდა,

წამყვანმა, რომელსაც მსაჯის ფუნქცია ჰქონდა შეთავსებული, ორთაბრძოლის წესებიც გამოაცხადა. წესების ახსნა კავშირ „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ ხელმძღვანელს ლაშა კობახიძეს ვთხოვე:

— ორთაბრძოლაში მონაწილეობა მხოლოდ „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ 18 წელს ზემოთ წვერებს შეუძლიათ შესწავლევები არ არის. დამარცხებული მოკრივეები მე-3 ადგილისათვის ბრძოლის გარდა, ასპარეზობას ვითმებიან. აუცილებელია მოკრივეებს ეცვათ თითებიანი ხელთათმანი, თავის, სახისა და საზარდულის დამცევი. მორკინალი დამარცხებულად ჩაითვლება, თუ დაზარდება მისაზე, მნიშვნელობა არა აქვს, თავისით წაიქცევა თუ მოწინააღმდეგე დააგდება. თუ ტანით შეება მისა, ის დამარცხებულია. ორივე მოასპარეზის წაქცევის დროს გამარჯვებულად ჩაითვლება ის მოას-





პარზე, რომელიც ზემოდან დაეცემა. ერთორულად დაეცემის შემთხვევაში კი ბრძოლა გაგრძელდება. დანებების მისასპარზე მოწინააღმდეგეს ცალ მუხზე და გულზე ხელის დადებით ესალმება.

**— ყველანაირი დარტყმა დასაშვებია?**

— დაახ, ნებისმიერი დარტყმა თავით, ხელით, იდაყვით, ფეხით, მუხლით, ტანით დასაშვებია. ასევე მისაღებია ნებისმიერი გდება, ჩაელება. აკრძალულია თვალებში, ყელსა და საზარღულში დარტყმა და ამავე ადგილებში ჩაელება.

ორთაბრძოლის დაწყებამდე, ალბათ, განწყობისთვის ან სულაც მოჩუბართა მოთელვისთვის თეატრალური სანახაობა გაიმართა. ჩემი მეგობარი და თანამშრომელი ბაქარ ნათუნაძე, რომელიც დიდი ხანია ამ ორგანიზაციის აქტიური წევრია, თავისი ხელით გაკეთებულ გრძელ მათარსს ყიფინით სცემდა მიწას. წრეში გასვლამდე კი სინანულით მითხრა, მაისის შერკინების დროს წვაგე, თორემ საიპოვნებით ვეისპარებებდიო. მას ორი ხმლითა და ფართი შეიარაღებული მამაკაცი შეენაცვლა და ძველი ქართული ფარეკების სურათი გააცოცხლეს.

რამდენიმე შვიდიობიანი ნომრის შემდეგ გვაცნობეს, ქალაქური კრების საცქერლად მოეწადეთო და მაყურებელმა ლამის ვულური ყიფინა დასცა.

წრეში ორი ტანბალად ბიჭი შემოიჭრა. ერთ-ერთი, ზევიად ჯაფარიძე, აღრეც რამდენიმე შეჯიბრების მონა-

წილე ყოფილა და მძიმწონიანი ქვის გადახდივამდე პირველ ადგილზე გასულა, ხოლო მეორე მონაწილისთვის — ზურაბ შვერდამაშვილისთვის ეს საბრძოლო ნაიღობა აღმოჩნდა. მოსაპარევეებმა ერთმანეთი თვალით გაზომეს და ორთაბრძოლა დაიწყო. როგორც იტყვიან, დანღობა არ იყო, — ხან გაშლილი ხელებს, ხანაც შეკრულ მუშტებს მისასპარეზეთა სახესა და ხსეულის სხვადასხვა ნაწილზე ლაწალაწი გაუდიოდა. მაყურებელი ხან ერთს აქეზებდა ყიფინით, ხანაც მეორეს... პირველი რაუნდის შემდეგ მეგონა, ორთაბრძოლა შეწყდებოდა, მაგრამ, როცა მსაჯმა მაყურებელს ჰკითხა, გაგრძელების ხილვა უნდა თუ არა, დადებითი პასუხი ერთხმად მიიღო. არც მეომრები ჩანდნენ დაღლილი და მით უფრო — შემინებული. მეორე ეტაპი უფრო სასტიკი აღმოჩნდა. მსაჯმა გაგაფრთხილა, უსაფრთხოების მიზნით ორი ნაბიჯით უკან დაიწვიეთო. ამის თქმა იყო და ერთმანეთში გადაკეანულმა მოასპარევეებმა წრე მზიულით გაარღვეეს და ჩემ გვერდით მიწაზე დაეცნენ. ორივე დასისხლიანებული იყო. თვალები უელეუდათ მეგონა, ახლა მაინც შეწყვეტოდა ასპარეზობა, მაგრამ თანაწილ, უფრო სწორად კი ერთ-ერთის სასარგებლოდ მცირე უპირატესობით მომდინარე ორთაბრძოლაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. „მიეცი ხალხს პური და სანახაობა“, — იხუმრა ჩემ გვერდით ვიღაცამ, როცა შესამდე და გადაშევეტი შეტაკება დაიწყო. ზევიად ჯაფარიძის ზუსტ და მოსხლვტელ

დარტყმებს ზურაბ შვერდამაშვილი ძლიერ მუშტებს ახვედრებდა. რამდენიმე წუთში ისევე გაგაფრთხილეს, არუნა გააფართოეთო. ორეფს ცხვირიდან სისხლე თქრილით მოსლიოდათ, მაგრამ ახლა უფრო მეტი ვინით უტყუდნენ ერთმანეთს. ტრადიციულ ქართულ სამოსში გამოწყობილი მეგობრების გარემოცვაში მზის გულზე მოჩუბართი ორი ფალავანი დათობას არ აპირებდა.

ბოლოს ზევიად ჯაფარიძემ იძალა და ღირსეულმა მეტოქემ გამარჯვება ღირსეულად მიულოცა. არუხიდან ორეფ სამედიცინო მარქანისკენ გაქანდნენ, წრეში გასასვლელად კი მომდევნო წვეილი ემზადებოდა...

— მეგონა, ცხვირი მაქვს მოტყეილი, — ბედნიერი დიმიტოთ თქვა გამარჯვებულმა, როცა შესხვებულ და დასისხლიანებულ ცხვირზე მოიკიდა ხელი. მართლა შეიძლება ცხვირი გასტყობა? — ვკითხე ექიმს, რომელიც მას სახეზე ვინულს ადებდა.

— რატომაც არა? — მომიბრუნდა ჩემი შემფოთებული ხმით გაიცებული ჭადარა კაცი და არანაკლებ არხისინ ხმით დაძინა, — ზგალეე ჩაუსეამენ, ასეთები გადატუნაიათ?..

იქვე ცხვირში ტამპონებგაკეთებულ ზურაბ შვერდამაშვილს ტრიალებდა, რომელსაც როგორც მეორე დღეს ვაკეე, ნეკის თგალი ჰკონდა გატყეილი. ნახუბარმა და ჩხუბის მოლოდინში მყოფმა ბიჭებმა ამისხნეს, რომ ასეთი და „ოდნე უფრო მძიმე შედეგით“ ორთაბრძოლა ხმირად მოთედნება, მაგრამ

**ჩხუბის შემდეგ „პურის საცქერლად“ სხდებიან**





**ტრავმა, რომელიც სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის, მამაკაცს აძლიერებს**

ეს დაპირისპირება არენის გარეთ არასდროს გადაზრდილა. პირაქით, ყოველი შეხვედრის შემდეგ „პურის საჭმელად სხდებიან და ერთმანეთს აზრებს უზიარებენ“. მოგება თუ წაგება მათთვის სტიმულია. საკუთარ თავზე მუშაობას იწყებენ, უფრო თავდაუზოგავად ვარჯიშობენ და შეცდომების გამოსწორებას ცდილობენ.

ცხადია, ძალიან მაინტერესებდა, თუ რა განცდა ჰქონდა გამარჯვებულს, როცა მოუდანი დატოვა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ბედნიერი იყო და ეს ის გამონაკლისი შემთხვევა გახლდათ, როცა ზედმეტ კითხვებს ჩემი პროფესიის ადამიანიც კი უნდა მოერიდოს.

**ლუბა მოზახშიმ, „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ ხელმძღვანელი:**

— კავშირი „ქართული საბრძოლო ხელოვნება“ უკვე წლებია ქართულ საქმეს ემსახურება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ როგორც ორგანიზაცია, ჩვენ უკვე ჩამოყვანილბით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გვეყვს წარმომადგენლები, რომლებიც ინფორმაციული ბაზის გაფართოებაშიც გვემხარებიან და ჩვენი ორგანიზაციის სახეს წარმოადგენენ. როცა საქართველოში „უორლდ ტრეველის“ წარმომადგენელი რობი ნესროკი იყო ჩამოსული, გვითხრა, ბერძენ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და სულ 3-4 ქვეყანა ვიცი, რომელიც საბრძოლო ტრადიციების აღდგენას და შენარჩუნებას ცდილობს. მისი ინიციატივით „ინერნალ ვეიკოვარაიჯიზ“ გადაცემითა ციკლი გადიოდა...

მართლაც ყველანაირი ინფორმაცია დაკარგული იყო, არც ერთი ისტორიული კვლევა არ არსებობდა. საბრძოლო ხელოვნებები არქეოლოგიური გათხრების დროსაც კი თითქმის უყურადღებოდ რჩებოდა. ეთნოგრაფიული ჩანაწერები მოვიძიეთ, ზოგან მინიმუმები ვიპოვეთ და ერთმანეთს დაუკავშირეთ. თავიდან გვეკონია, რომ თუშური, ხეგურული, იმერული, კახური ან მგრული საბრძოლო ხელოვნებები სხვადასხვა იყო, მაგრამ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მივხვდი, რომ საფუძველი ყველას ერთი აქვს. მაგალითად, რაჭულ ჭიდაობას „ლოჯური“ ჰქვია, სვანურს — „ლიბრეილი“, მაგრამ წესები ერთნაირია, მცირედი, უმნიშვნელო განსხვავებები აქვს. კახაბერ ზარნაძემ, რომელმაც კავშირი დადგინებამა დიდი წვლილი შეიტანა, არაერთი ქართული საბრძოლო ხელოვნების ელემენტი მოიძია. მას შემდეგ, რაც ჩვენს კავშირს „ქართული საბრძოლო ხელოვნება“ დაარქვითი, თეატრალურ სანახაობებსა და თამაშობებსაც ვმართავთ, არაერთი საბრძოლო იარაღის სახეობა აღადგინეთ და როგორც თავად ნახეთ, ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში დაკარგული ქალაქური კრები აღადგინეთ.

100-მდე მამაკაცი, ანუ ზრდასრული შემოამბი გვეყვს, კვირშივე არიან პატარებიც, რომლებიც ტრადიციული საბრძოლო ხელოვნებას ეუფლებიან...

— ქალაქურმა კრებმა მავურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორ აღადგინეთ?

— ქალაქური კრები საქართველოში გასაბჭოების შემდეგ თანდათან აიკრძალა. ჯერ ქალაქის გარეუბნებში გადაინაცვლა, შემდეგ საერთოდ აიკრძალა. მიზეზად მის შედეგებს ასახელებდნენ.

— ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ...

— არსებობს ორი სახის ტრავმა — სიცოცხლისთვის სახიფათო და უხიფათო. ტრავმა, რომელიც თქვენ ნახეთ და ჩვენმა მოასპარეზებმა მიიღეს, სახიფათო არ არის და მამაკაცს აძლიერებს. ამიტომ მისთვის აუცილებელიც კი არის. საბრძოლო სულისკვეთების გარეშე არც ერთი მრწამსი არ არსებობს. თუ ადამიანს შინაგანი ბრძოლის უნარი არ გააჩნია, ვერაფერს მიაღწევს. მოჩუბარ ადამიანს საბრძოლო სულისკვეთება არ უნდა გაუქრეს და როგორც მებრძოლი არ უნდა „გაფუჭდეს“. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ვერ გაუძლო და როგორც კი ცხვირიდან სისხლი წასვდა, კავშირიდანაც კი გავიდა. ადამიანი კარგი მსროლელი რომ გახდეს, ბევრი უნდა ისროლოს, მოჭდევეჭ ხშირად უნდა იჭიდაოს და ასევეა მოჩუბარიც...

ქართული კრივის წრეში 16 კაცი გვეყვს, მაგრამ რადან შეიძლება მოჩუბარმა ტრავმა მიიღოს, ცვდილობთ, მათ შორის რამდენიმეთუიანი შესვენება იყოს. პირველი ეტაპი მაისში, ნარეკლავზე ჩატარდა და 8 კაცი ჩხუბს გამოეთიშა.

**გიორგი საბაშერი, ქალაქური კრივის ერთ-ერთი გამარჯვებული:**

— ძალიან მძიმე ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ მებრძოლი ადამიანი ისეც უნდა იყოს. წარმომოთხი ყანზებთან ვარ და ბავშვებიდან ეუფლებილი ქართული საბრძოლო ხელოვნებას. იქ ამის წრე არ არსებობს და რაც წინააღმდეგის ვიცოდი, იმას ვაკეთებდი. შემდეგ გავიგე, რომ თბილისში არსებობს კავშირი, სადაც უფრო საფუძვლიანი შესწავლა ხდება და მას მივამუშევი.

**— თქვენ ორიბარბოლას ვერ ვუყურო, მაგრამ ვიცი, რომ გამარჯვებული:**

— დაბა, აქ გამარჯვებული ვყვირილი არ დარბობს. ჩემს თავში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ კავშირში მალიან მღიერი ფაქტებიც გვეყვს. ჩვენთან დამარცხებული არ ბოროტდება, პირაქით, მისთვის სტიმულია. ვიცი, სად, რაში ვარ სუსტი და ცვდილობ, გამკლავწირო.

**— ტრავმა მიიღეთ?**

— არა, მსუბუქად ვარ დავეყვილი. მიმაკლოში უფრო კარგ ფორმაში ვიქნები.





# კოსმონავთების სკაფანდრები

ბევრ პროფესიას, კონკრეტული საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, შესაბამისი სამოსის თუ ეკიპირების გამოყენება უხდება. მაგალითად, ქიმიკების თეთრი ხალათები აცვიათ, სამხედროები სხვადასხვა კლიმატურ პირობებში მორგებულ ფორმას იყენებენ, მეხანძრეებს მაღალი ტემპერატურისგან დამცვეი სამოსი აქვთ და ა. შ. ყველაზე განსაკუთრებული და ძვირად ღირებული უნიფორმები კოსმონავტებს აქვთ.

კოსმონავტების სკაფანდრები მილიონობით დოლარი ღირს. უმტკიცესი ქსოვილის არაერთი ფენისგან დამზადებული სკაფანდრი კოსმოსში კოსმონავტის დაცვისა და გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

სკაფანდრი კოსმოსის აგრესიულ სერეცემო ადამიანისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებელი აუცილებელი დაცვითი ზღუდეა და იმედროულად, კოსმონავტს შრომითი საქმიანობისთვის შესაბამისი პირობებს უქმნის.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში დირიჟაბლების ფრენის სიმაღლის ზრდასთან ერთად ავიატორები მიხედნენ, რომ 5-6 კმ-ის ზევით ჟანგბადის უკმარისობა ადამიანებზე დამღუპველად იმოქმედებდა. 10 კმ სიმაღლეზე ადამიანის სუნთქვისთვის აუცილებლად სუფთა ჟანგბადი სჭირდება.

ჟანგბადის უკმარისობის გარდა, მაღალ სიმაღლეზე ატმოსფერული წნევის შემცირება დეკომპრესიას იწვევს და ადამიანის ქსოვილებში არსებული აზოტი აირულ მდგომარეობაში

გადადის, რასაც თან ტკივილი ახლავს. ამგვარად, სტრატოსფეროში ფრენისთვის მხოლოდ ჟანგბადის ნიღბი საკმარისი არ არის. შესაბამისად, სკაფანდრი დაცვის უნივერსალური საშუალება უნდა იყოს და მთავარი მოთხოვნა პერმეტულობა და დაბალი ტემპერატურებისგან ადამიანის სხეულის დაცვაა. ამ პირობებთან ერთად სკაფანდრიან ადამიანს მუშაობაც უნდა შეუძლოს.

1931 წელს საბჭოთა კავშირში შექმნილი სკაფანდრი 4-1 ჩაფხუტეანი პერმეტული კომბინეზონი იყო. მუხლებსა და იდაყვებში სახსრული შეერთებების უქონლობის გამო ადამიანს გადაადგილება და კიდურების გამოყენება უჭირდა, და მაინც, „აირეული მერცხლის“ კვალობაზე არა უშავდა. შემდგომში ინჟინერმა ჩერტოვსკიმ თავისი ქმნილება გააუმჯობესა და სკაფანდრების მთელი სერია დაამზადა.

**ღია კოსმოსის ვაკუუმში სკაფანდრი კოსმონავტის დაცვისა და გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა**





CK-1-ით 1961 წელს გაგზარნი კოსმოსში გაფრინდა

იმ პერიოდში დინამიკურად მხოლოდ რეაქტიული ავიაცია როდი ვითარდებოდა. 50-იანი წლების დასაწყისში რაქტული ტექნიკაც ნელ-ნელა ახალ სიმაღლეს აცხრობდა და კოსმოსში ფრენა თანდათან რეალური ხდებოდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ხანწელეებსა და პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

წინასწარ მიუზნადებლად ადამიანის კოსმოსში გაშვება არ შეიძლებოდა, ამიტომ პირველი ექსპერიმენტატორები ცხოველები იყვნენ.

1953 წელს ძაღლებისთვის განკუთვნილი სკაფანდრებზე დაიწყო მუშაობა. ამ დავალებას თან შორეული მიზნების ტექნიკა — მეცნიერებს აინტერესებდათ 100-110 კმ სიმაღლეზე ცოცხალი არსება შეძლებდა თუ არა გადაარჩენას.

1957 წლის 3 ნოემბერს ბაიკონურის კოსმოდრომიდან სტარტი აიღო რაკეტამ, რომელმაც ორბიტაზე შეიწირე კოსმოსური აპარატი სპუტნიკ-2 ძაღლიან, სახელად ლაიკასთან, ერთად გაიყვანა.

ძალი პირველი ცოცხალი არსება იყო, რომელმაც კოსმოსში ფრინა და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ოთხეუბა არსებამ დედამიწის გარშემო 4 ბრუნე შეასრულა და ამის შემდეგ ძაღალი ტექნერატურისგან დაიღუპა. იმ პერიოდში თერმორეგულირების სისტემები ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ამ ფრენამ უზარმაზარი დიერეგულირების მეცნიერული ინფორმაცია მოიტანა და პილოტირებული ფრენების საქმეს დიდი სასახური გაუწია.

დღეს კოსმოსში ადამიანების ფრენამ ჩვეული ხასიათი მიიღო და ფრენების უსაფრთხოებაში სკაფანდრებმა მისაყენელოვანი ადგილი დაიკავა.

სკაფანდრები სამ კატეგორიად იყოფა: სამაშველო (კოსმონავტებს აპარატის პერმეტნაციის დარღვევის დროს აცვით), და კოსმოსურ სერვცეში სამუშაო და ციური სხუელების ზედაპირზე სამოგზაურო.

1960 წელს ამგვარი კლასიფიკაცია არ არსებობდა, ხოლო ღია კოსმოსში გავსვლაზე კი სპეციალისტთა მსჯელობა მხოლოდ გავარინის გაფრინის შემდეგ დაიწყო. მანამდე კი პირველი კოსმონავტისთვის სამაშველო სკაფანდრის გამოყენების წინააღმდეგინ თავად კოსმოსური ხომალდის შემქმნელები იყვნენ და პერმეტნაციის დარღვევის საფრთხეს უმნიშვნელო ალბათობით განიხილავდნენ. კამის წერელები იყვნენ და პერმეტნაციის დარღვევი კოროლიოგმა — მისი მითითებით მუშაობა დაიწყო სკაფანდრ CK-1-ზე. შემდგომში მას „სოსტოკის“ სერვის ყველა ხომალდზე იყენებდნენ.

უარიულ ვითარებაში სკაფანდრი კოსმონავტს სიცოცხლეს 10 დღით „უხანგროდობდა“, მაგრამ მას ხანწეუბები ჰქონდა. სკაფანდრის შიგინთ წარმოქმნილი ჭარბი წვევის გამო მისი რბილი გარსი იჭიმებოდა და კოსმონავტს სკაფანდრი უშნელებოდა.

სკაფანდრი CK-2 წინამორბედის ანალოგიური იყო, მაგრამ ქალებს-



სკაფანდრი, რომლითაც ამერიკელებმა მთვარეზე იმოგზაურეს, 6 სთ-იან ავტონომიურ ფუნქციონირებაზე იყო გათვლილი

შორე მსოფლიო ომის შემდგომ სკაფანდრების სრულყოფას დიდი ბიძეც მისცა რეაქტიულმა ავიაციამ. პირველი თაობის რეაქტიული გამანადგურებლები 14-15 კმ სიმაღლეზე დაფრინავდნენ და მხოლოდ ჟანგბადის ნიღაბი საკმარისი არ იყო. ასეთ თვითმფრინავებს უკვე პერმეტული კაბინებიც სჭირდებოდა.

მამინ დაიწვეს სამხედრო მფრინავებმა სკაფანდრების გამოყენება. პერმეტნაციის დარღვევის შემთხვევაში 15 კმ სიმაღლეზე 900-1000 კმ/სთ ტილი სიჩქარით მფრინე თვითმფრინავის პილოტის გადარჩენის ერთადერთი იმედი სკაფანდრი იყო.

კორეის ომმა სპეციალისტები დარწმუნა, რომ მფრინავის გადარჩენის საშუალებები საბრძოლო თვითმფრინავის განუყოფელი ელემენტი უნდა ყოფილიყო.



თვის იყო განკუთვნილი და სუსტი სქესის ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გთვალისწინებით განსხვავებები ქონდა. ამ სკაფანდრით 1963 წლის 16 თენისს მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა ქალმა, ვალენტინა ტერეშკოვამ იფრინა.

რა თქმა უნდა, სკაფანდრებზე ატლანტის ოკეანის შიორე მხარესაც მუშაობდნენ. ამერიკული ანალოგი Navy Mark IV (მას Mercury-საც უწოდებენ) პილოტირებული პროგრამა „მერკურის“ ფრენებში გამოიყენეს. ის მხოლოდ სამაშველო დანიშნულებას ასრულებდა და 10 კგ-ს იწონიდა. ამერიკელებს ეს სკაფანდრი 7 პილოტირებულ მისიაში ეცვათ.

გაგარინის ფრენა 108 წუთს გაგრძელდა. დღევანდელი მასშტაბებით ეს სასაცილო მაჩვენებელია, მაგრამ უკვე მაშინ სპეციალისტები ფრენის ხანგრძლივობის გაზრდასა და ღია კოსმოსში გასვლაზე მუშაობდნენ. ამ შემთხვევაში კი სამაშველო სკაფანდრი არ ფარგვებდა. კოსმონავტისთვის ისეთი საჭურვილის შექმნა იყო საჭირო, რომელიც მას სრულ გაუქუშში სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, დაიცავდა მკურნალობას და ექსტრემალური ტემპერატურებისგან (კოსმოსში სხვაობა ჩრდილსა და მზიან მხარეს შორის 100 გრადუსს აღემატება).

საბჭოთა კავშირში ასეთი სკაფანდრი სპეციალური აპკისებრი ქსოვილის რამდენიმე ფენისგან დამზადებული **БЕРКУТ-0** იყო.


„ბერკუტი“ უფრო კომბინირონს ჰგავდა და ფენებს შორის სითბოს გადაცემის შესამცირებლად დიოქსოქსონდა დატოვებული (იგივე პრინციპია ამოყენებული თერმოსში).

კოსმონავტის თვალზე მზისგან 5 მმ სისქის ორგანოზე მინის ტონირებული ფილტრი იცავდა. სკაფანდრი 20 კგ-ს იწონიდა (ზურგანით — 41,5 კგ-ს) და კოსმოსში 45 წთ-იან ყოფნაზე იყო გათვლილი.

ის პირველად და ერთადერთად 1965 წლის 18 მარტს გამოიყენეს, როცა კოსმონავტი ალექსი ლეონოვი პირველად ისტრიაშია და კოსმოსში გავიდა. სხვათა შორის, ამ ფაქტთან ერთი საინტერესო მოვლენაა დაკავშირებული, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში არ ახმაურებდნენ.

კოსმოსში ლეონოვი ინსტრუქციის თანახმად თავით წინ გავდა. უპაურო სივრცეში მისი სკაფანდრი შიდა ჭარბი წნევის გამო ზედიზედ გაიბურღა. ლეონოვის ეს მხოლოდ ხომალდზე

თანამედროვე სკაფანდრები მცირე ძრავების წყალობით, კოსმონავტებს კოსმოსში თავისუფალი გადაადგილების საშუალებას ანიჭებს



დაბრუნებისას შენიშნა (ინსტრუქციით ხომალდში ის ფეხებით უნდა შესულიყო).

რამდენიმე ამოცანის შემდეგ (გაბერილი სკაფანდრი შლიოქში არ ეტეოდა) ხომალდში ის თავით შევიდა. რა თქმა უნდა, ეს ინსტრუქციას ეწინააღმდეგებოდა და საბჭოთა პროპაგანდამ კოსმოსში გასვლა-დაბრუნების ვიდეოფირი გადააკეთა. შესვლის კადრებდ ხომალდიდან გასვლის მომენტი შეარჩიეს და უკან გადააზვიეს. დაკვირვებულ მაყურებელს მსგავსება რომ არ ეჩიოჯ, კადრი თავდაყირა ამოტრიალეს.

ამერიკელები და კოსმოსში 1965 წლის 3 თენისს გავიდნენ. მაშინ ასტრონავტ ედვარდ უაიტს სკაფანდრი Gemini G4C ეცვა. თავის დროზე, ის NASA-ს დაკვეთით ექსპერიმენტულ X-15-ზე ფრენებისთვის შეიქმნა. შემდგომში მას მხვევარი თვითმფრინავების U-2-სა და SR-71-ის პილოტები და კოსმოსური აპარატი Gemini-ს ეკიპაჟები იყენებდნენ.

70-იანი წლებიდან საბჭოთა კოსმონავტები გაუმჯობესებულ **ЦОИЗ**-ის ტიპის ორადგილიანი ხომალდებით ფრენაზე გადავიდნენ და ამერიკელებთან კოსმოსის პაქტობაში უპირატესობის მისაღწევად 1971 წლის 6 თენისს კოსმოსში **ЦОИЗ-11** გაუშვეს.

**ხომალდის ეკიპაჟი კოსმონავტების**

— გიორგი დობროვოლსკის, ვლადისლავ ვოლკოვისა და ვიქტორ პაცკევისგან შედგებოდა. ისედაც ვიწრო ხომალდში სამი კაცისთვის ადგილი მხოლოდ უსკაფანდროდ გამოინახა და ამ გადაწყვეტილებას ტრაგედია მოჰყვა.

აპარატი მიწაზე დაუბრკოლებლად დაეშვა, მაგრამ ადგილზე მისულმა სამაშველო ეკუფუმა სამეფო კოსმონავტი მკვდარი იპოვა, — მიწაზე დაშვებისას აპარატის ჰერმეტიკულია დაირღვა.

ამის შემდეგ აფრენა-დაშვების დროს სამაშველო სკაფანდრების გამოყენება კოსმონავტებისთვის აუცილებელ მოთხოვნად გადაიქცა.

შესანი ტიპის სკაფანდრი იშვიათია და ამერიკელებმა მთარის ექსპედიციებში გამოიყენეს.

მთარაზე გადასვლის ამერიკული პროგრამა „აპოლონისთვის“ სკაფანდრი Apollo A7L დაამზადა. ის სხვადასხვა მასალის 17 ფენისგან შედგებოდა. მთარა სკაფანდრის შიგნით ასტრონავტები იცემოდნენ სპეციალურ თერმორეგულირებულ სკაფანდრსაც, რომელსაც წერილი მიღების ბადაე ქონდა და მასში წყალი ცირკულირებდა. დეამიწაზე სკაფანდრი 90 კგ-ს იწონიდა და ატონომიურობა 6 სითით იყო განსაზღვრული.

ველა სკაფანდრი ორი გარსისგან



კოსმონავტი ალტურვილობაში ვეკლავზე ძვირი ელემენტი ჩაფხუტა. მისი მინა სუფთა ოქროს ფენით არის დაფარული და მზის სხივების მხოლოდ 34 %-ს ატარებს

შედეგა: შიდა ჰერმეტიკულობის უზრუნველყოფის, ხოლო გარეთა კი ძალური კარკასის როლს ასრულებს.

პირველ საბჭოთა სკაფანდრებში შიდა გარის რეზინისგან, შქებებით მზადდებოდა. ამ რეზინის მისაღებად უმაღლესი ხარისხის ნატურალური კაუჩუკი იყო საჭირო. სხვათა შორის, კოსმოსში მუშაობისთვის განკუთვნილ სკაფანდრებზე ფურცლოვან რეზინს ალტერნატივა დღესაც არა აქვს.

რაც შეეხება გარე გარს, ის ქსოვილისგან მზადდება. ამერიკელები ამისთვის ნეილონს, რუსები კი კაპრონს იყენებენ.

როგორც ტექნოლოგიით მზადდება სკაფანდრის ჩაფხუტი. თანამედროვე ვარიანტებზე ჩაფხუტის მინა ძალიან სიმტკიცის პოლიკარბონატისგან კეთდება. ადამიანის თვალების დასაცავად ამ ხელნაწერს მინას ოქროს ფენით ფარავენ, რაც მზის სხივების მხოლოდ 34%-ის გატარებას უზრუნველყოფს.

1973 წლიდან რუსები СОКОЛ-ის ტიპის სამაშველო სკაფანდრებზე გადავიდნენ. ჰერმეტიკულობის დარღვევის შემთხვევაში ის ადამიანს სიცოცხლეს 2 საათის განმავლობაში უზარუნებს. ამ სკაფანდრის 280-ზე მეტი კომპლექტია გამოშვებული.

90-იანი წლების დასაწყისში ორი ჩინეთმა იყიდა და პირველი ჩინელი კოსმონავტი კოსმოსში საბჭოური „სოკოლის“ ულიცენზიო ასლით გაფრინდა. ღია კოსმოსისთვის საჭირო სკაფანდრები კი ჩინელებს ჯერ არ უყი-

დიათ და ამიტომაც კოსმოსში გასვლას არ აპირებენ.

დღეს კოსმოსში აშშ და რუსეთი რეგულარულად დაფრინავენ. სხვადასხვა ქვეყნის კოსმონავტები კოსმოსში სამაშველო წარმოების სამაშველო სკაფანდრებით მიფრინავენ. რაც შეეხება ღია კოსმოსში გასვლას, ამ პრობლემატით მხოლოდ რუსები და ამერიკელები სარგებლობენ.

1977 წლიდან კოსმოსში სამუშაოდ რუსები Орлан-ის ტიპის სკაფანდრებს იყენებენ. მას შემდეგ ისინი არაერთხელ გააუმჯობესეს. თუდაპირველად ისიც მთვარის პროგრამისთვის შეიქმნა. სხვათა შორის, ეს იყო პირველი საბჭოური სკაფანდრი, რომელზეც „ზომის მორგების“ პრობლემა გადაიჭრა. აქამდე სკაფანდრებს კოსმონავტების ინდივიდუალური ზომებით „უკერავდნენ“. ეს კი საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო.

Орлан-ის ოთხი მოდიფიკაციაა შექმნილი. პირველი ორი მოდილი (გარიანტი Д და ДМ) ორბიტული სადგურის საბორტე სისტემებთან გრძელი კაბელებით არის დაკავშირებული და მათი საშუალებით ელექტრომომარაგების, კავშირისა და ტელემეტრიული მონაცემები გადაიცემა.

Орлан-ДМА კი ავტონომურია და ორბიტული სადგურისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ეს თვისება საჭირო „შენაძენია“ — ორბიტული სადგურის ზომების ზრდასთან ერთად, გრძელი კაბელებით პერფორირულ ნაწილებში მიღწევა მწყობრად.

ამეუ მოდიფიკაციაზე გამოყენებული მიწვილობა კოსმონავტს კოსმოსში თავისუფალი გადაადგილების საშუალებას ანიჭებს. მისი მართვის ორგანოები ორ მოძრავ ძელშია განლაგებული. 32 მცირე ზომის რეაქტიული ძრავისთვის კი მუშა რეჟიმს ორ 28 ჰორტონ ბალონში ჩაწნობილი შეკუმშული ჰაერი წარმოადგენს.

70-იანი წლების დასაწყისში ორბიტული სადგურების თემატიკა აქტიუალური გახდა და ერთ-ერთი პრობლემა სკაფანდრებისთვის მუშა მდგომარეობის ხანგრძლივად შენარჩუნება იყო. რაკი ღია კოსმოსში სითბური ბალანსის დამცვე სისტემაში წყლის შენარჩუნება ძნელია, გამოსავალი წყლის ევრეზილით იზინზრებასა და თავად სისტემაში არამეტალური ელემენტების გამოყენებით მოიძებნა.

კოსმოსური ექსპედიციებისთვის შექმნილი აპარატურა, მათ შორის სკაფანდრებიც სპეციალური და ზოგჯერ უნიკალური ტექნოლოგიებით თუ იშვიათი მასალებით მზადდება და ამის გამო საკმაოდ ძვირი ღირს. NASA-ს ასტრონავტები კოსმოსში 12-15 მლნ დოლარად ღირებული სკაფანდრებით დაფრინავენ.

ალექსანდრე ავაკიძე

**„ლეიბა“**  
სამკურნალო ბაპრთიანობა

**სამსოკატოლოგია**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სქესუალური დარღვევის მკურნალობა
- სქესუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

სელმმდგანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

[www.league.ge](http://www.league.ge)





# „ზიგ ზაურის“ ავტომატების დიდი ოჯახი

## შვეიცარიული ავტომატური იარაღი გრადიციულად გაღალ კონკურენტუნარიანობას ინარჩუნებს იარაღის მსოფლიო ბაზარზე

ამერიკული ავტომატური კარაბინის M4-ის ჩანაცვლების ცდა მუდმივად გრძელდება, რადგან მისი შემქმნელის, იუჯინ სტონერის მიერ ჯერ კიდევ საიერიშო შაშხანა M16-ში გამოყენებული ავტომატიკის პრინციპი — აირგადატანა პირდაპირ საკეტის ჩარჩოში, დღესაც არის ამერიკული სამხედროების დიდი ნაწილის უკმაყოფილების მიზეზი. საერთაშორისო საიარაღო კონცერ-

მა SIG-Saur-მა გასულ წელს პენტაგონის შესიახა ავტომატი (იგივე საიერიშო შაშხანა) SIG516-ი M4-ის ჩანაცვლებლად. SIG516-ის მოქმედების ავტომატიკაც გასროლისას წარმოქმნილი აირის გადატანაზე დაფუძნებული, ოღონდ ლულის თუზე დაყენებული აირდგუში მცირე მანძილზე გადაადგილება და საკვიალური ბერკეტით ზემოქმედებს საკეტის ჩარჩოზე.

**ჩვენი დონი:** მე-20 საუკუნის შუახანებში შექმნილი შვეიცარიული ავტომატი Stgw.57 (SG510) გათვალისწინებული იყო სპეციფიკურ 7,5X55 მმ კალიბრის ვაზნებზე. მისი სიგრძე 1105 მმ-ს აღწევდა, ლულის სიგრძე კი 583 მმ-ს. ვაზნების გარეშეც ეს ავტომატი საკმარისზე მეტს — 5,56 კგ-ს იწონიდა. მჭიდო 24 ვაზნაზე იყო გათვლილი, რაც ასევე არაორდინარული ჩანდა.



# SIGSAUER

**ჩვენი დროი:** 1853 წელს შვეიცარიაში შეიქმნა საიარალო ფირმა Swiss Wagon Factory, რომელმაც მოიგო უფლება შვეიცარიის ფედერალური თვდაცვის სამინისტროსთვის 30 ათასი გლეჯვლადანი თოფის დამზადებაზე. ცოტა ხანში ფირმას ახალი სახელი — SIG-ი მიენიჭა, რაც ქართულად „შვეიცარიის სამრეწველო კომპანია“ ითიფრება.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 70-იან წლებში, SIG-მა დაიწყო მოკლევადიანი ავტომატური იარაღის ნიმუშების შექმნა, თუმცა შვეიცარიის კანონმდებლობა ზღუდვს ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებას, რის გამოც SIG-ის მსგევეურებმა საზღვარგარეთ დაიწყეს პარტნიორების ძებნა. ასე დაუკავშირდნენ ისინი გერმანულ საიარალო ფირმა Sauer & Sohn-ისა და პირველი ერთობლივი იარაღი — SIG Saur P220 ტიპის პისტოლეტის სურათულ წარმოებას 1975 წლიდან შეუდგნენ.

1985 წელს SIG Sauer-ის ფირმამ აშშ-ში წამოაყალიბა ქვეფირმა SIG ARMS Inc-ი, რომელიც ვიჯინიის შტატებში იყო განთავსებული და ჩრდილოეთ ამერიკაში P-230 ტიპის პისტოლეტების მთელი ოჯახის ბიზნესით იყო დაკავებული.

2000 წელს ბიზნესმენებმა მაიკლ ლიუკმა და ტომას ორტმაერმა შეიძინეს SIG ARMS-ი და მისი ფროპელი თანაფირმები — Sauer & Sohn-ი, Blaser-ი, Mauser Jagdwaffen GmbH-ი და Swiss Arms-ი.

2007 წლიდან კი SIG ARMS-ის ოფიციალური დასახელება გახდა SIG Sauer Inc-ი, რომელიც დღეს მსოფლიოს იარაღის მწარმოებელი ყველაზე დიდი ხუთი კომპანიის რიცხვში შედის. აშშ-ის პოლიციელების შესამედი სწორედ ამ კომპანიის პისტოლეტებიათა შეიარაღებული.



SIG516-ი პირველი ავტომატი არ არის, რაც ცნობილმა „ზიგ-ზაურმა“ შექმნა, თუმცა არანაკლებ საინტერესოა თავად შვეიცარიული SIG-ისა და გერმანული Saur-ის საიარალო ფირმების შერწყმის ისტორია.

1957 წელს შვეიცარიის არმიის შეიარაღებაში შევიდა რუდილფ ამსლერის კონსტრუირებული ავტომატი Stgw.57, რომლის საექსპორტო ვარიანტი SIG 510-4 ჩილესა და ბოლივიაში გაიღოდა.


Stgw.57-ის ავტომატიკა შექმნილი იყო ნახევრად თავისუფალი საკეტის

**ჩვენი დროი:** Stgw.90 ტიპის ავტომატების მიწოდება შვეიცარიის არმიისთვის 1986 წელს დაიწყო და 15 წლის განმავლობაში 600 ათას ერთეულს გადააჭარბა. მართალია, შვეიცარიის რეგულარულ არმიაში მხოლოდ 4200 ვაზისკაცი და ოფიცერია, მაგრამ რეზერვის ხარეზე მობილიზაციის შედეგად სახმელეთო ვაჯრების რაოდენობა მცირე დროში 210 ათასს სამხედრომდე შეიძლება გაიზარდოს, ხოლო რეზერვში შვეიცარიის 1,6 მლნ მოქალაქე ირიცხება.

### შვეიცარიული რეზერვისტების ნახვა მაღაზიებსა და ქუჩებში ხშირად შეიძლება SG550 ტიპის ავტომატებით







„ზიგ-ზაუერის“ ავტომატები ძალზე პოპულარულია კომპიუტერულ თამაშებში

სქემით, რომელიც ძალიან პეკედა გერმანული ავტომატური შაშხანა HK G3-ის მექანიზმს, ორგანოლოგიაში დეტალის გამოყენებით.

შვეიცარიული ავტომატის ყველაზე დიდი თავისებურება მისი ვაზნა — 7,5X55 მმ გახლდათ, რადგან ამ კალიბრს ევროპაში და არც ამერიკაში აღარეინ იყენებდა. თუმცა, მართალია, ავტომატის საექსპორტო ვარიანტი სტანდარტულ, 7,62X51 მმ NATO-ის ვაზნაზე გათვალისწინებული.

სხვათა შორის, შვეიცარიულმა ფორმამ დააშადა საბჭოთა AKM-ის 7,62X39 მმ ვაზნაზე გათვლილი SIG510-3-ების ვარიანტიც, რომელმაც ფინეთის არმიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

შვეიცარიული ავტომატი გამოირჩეოდა მაღალი სამიწლიობითა და სროლის სისუსტით, მაგრამ იარაღის შედარებით დიდი მასა (5,56 კგ-ი ვაზნების გარეშე!) და მაღალი ფასი (შვეიცარიული საათების არ იყო!) მისი არცთუ უმნიშვნელო ნაკლი იყო. მიუხედავად ამისა, ნახევარი მთლიანი ავტომატური Stgw.57 და 7 ათასი მისი სამოქალაქო ვარიანტი (თვითდამტენი და არაავტომატური სროლის რეჟიმით) იქნა დამზადებული.

80-იან წლებში Stgw.57-ების უდიდესი ნაწილი შეიარაღებებიდან მოიხსნა და ისინი უფრო თანამედროვე ავტომატებმა Stgw.90-ებმა, იგივე SIG 550-ებმა ჩაანაცვლა. თუმცა მათ შორის იყო შუალედური ავტომატი SIG 540.

70-იან წლებში SIG-მა იმ დროისთვის პოპულარულ ვაზნაზე — 5,56X45 მმ (რომელიც M16-ისთვის გამოიყენებოდა) შექმნა ახალი ავტომატის პროტოტიპი SIG530, რომელსაც წინამორბედ Stgw.57-ვით მექანიზმში ჰქონდა გორ-

გოლაკები, რომლებიც ართულებდნენ და აძვირებდნენ იარაღის სერიულ წარმოებას. ამიტომაც ავტომატის მორიგ მოდიფიკაცია SIG540-ში კონსტრუქტორებმა საბჭოთა „კალაშნიკოვის“ მექანიზმის ოდნავ შეცვლილი სქემა გამოიყენეს.

SIG540-ის სერიული წარმოება 1977 წლიდან დაიწყო და თითქმის ათი წელი გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, ის შვეიცარიის არმიის შეიარაღებაში არ მიუღიათ სამაგიეროდ, საფრანგეთში ლიცენზიით წარმოებული ეს ავტომატი ცოტა ხნით ფრანგული არმიის აღჭურვილობაში ირიცხებოდა, სანამ

თავმოყვარე ფრანგებმა საკუთარი ავტომატი FAMAS-ი არ შექმნეს, რომელმაც 80-იანი წლების შუახანებში მთლიანად ჩაანაცვლა შვეიცარიული იარაღი.

შვეიცარიულ SIG540-ებს ლიცენზიით ჩილეც ამზადებდა. ეს ავტომატი დღემდე რჩება ჩილესა და პორტუგალიის, ასევე სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნის არმიების შეიარაღებაში.

სპეციალურად სამოქალაქო ბაზრისთვის გამოშვებულ იქნა SIG540-ის თვითდამტენი ვარიანტები, გათვლილი როგორც .223 Remington-ის (5,56X 45 მმ), ისე „კალაშნიკოვის“ 7,62X39 მმ კა-



SG-550/Stgw.90



SG-551-LB SWAT



SIG-551



SG-552 SWAT



**ჩვენი ღოსიმი:** NATO-ს სტანდარტის 5,56X45 მმ კალიბრის ვაზნაზე გათვლილ პირველ შვეიცარიულ ავტომატად SG540 იქცა. მისი სიგრძე 950 მმ, ხოლო ლულის სიგრძე კი 460 მმ იყო. ვაზნების გარეშე ავტომატის მასა კონსტრუქტორებმა 3,26 კგ-მდე შეამცირეს. ავტომატს 20 ან 30-ვაზნიანი მჭიდები ჰქონდა. სროლის ტემპი წუთში 650-800-ს აღწევდა.

ლობრის ვაზნაზე. გარდა ამისა, წარმოებდა SG540-ის დამოკლებულ-ლულიანი ვარიანტი, SG543-ის სახელით, გათვლილი 7,62X51 მმ NATO-ს კალიბრის ვაზნაზე.

80-იანი წლების დასაწყისში შვეიცარიის არმიამ გამოცხადა კონკურსი ახალ ავტომატზე (საიერიშო შაშხანაზე), რომელსაც მოქმელებული 7,5 მმ კალიბრის Stgw.57 უნდა ჩაენაცვლებინა. კომპანია SIG-მა ავტომატების SG540-ისა და SG541-ის ბაზაზე შექმნა SG550, რომელშიც ყურადღება, ძირითადად, იარაღის მასის შემცირებას დაეთმო.

მართალია, ახალი ავტომატი SG550 შვეიცარიელებმა არმიის შეიარაღებაში ოფიციალურად ვერ კიდევ 1983 წელს მიიღეს Stgw.90-ის სახელით, ფინანსური პრობლემების გამო მათ სერიულ წარმოებას მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეუდგინენ. მოგვიანებით SG550-ის ბაზაზე შეიქმნა კარაბინი SG551 და დამოკლებულ-ლულიანი ავტომატი SG552.

SG550-ში გამოყენებული აირგადამტანი მქეპინიზმი იცვლება საკეტის ორ საბრძოლო საგრძენზე მორტირალიებით,

უკან დაძაბურებული ზამბარა მოთაყებულა იარღუემის ბერკეტის გარშემო ლულის თავზე.

საინტერესო დეტალი — აირგადამტან კამერას სამპოზიციური აირრეგულატორი აქვს. პირველი მდებარეობა შეესაბამება ჩვეულებრივ სიტუაციებში სროლის წარმოებას, მეორე, როდესაც სროლა რთულ პირობებში მიმდინარეობს, მესამე მდგომარეობაში კი აირგადამტანი არხი მთლიანად იცეკება, რადგან გასროლისას წარმოქმნილი აირის წნევა მთლიანად მოხმარდეს ლულის თავზე ჩამოცმული სპეციალური კონსტრუქციის ყუმბარის გასროლას.

შვეიცარიელებმა დაამუშავეს 5,56X45: მმ კალიბრის საკუთარი ვაზნაც GP30, რომელიც მართალია, კონსტრუქციით ანალოგიურია NATO-ს ქვეყნების სტან-

დარტული ვაზნისა, მაგრამ მისი ტემპირა შეასვლი გრამით მძიმია.

SG550-ის სროლის წარმოება შეიძლება როგორც სათითაო გასროლით, ისე ჯერით, ასევე ფიქსირებული სამსამი გასროლით.

ავტომატს 20 ან 30-ვაზნიანი მჭიდები აქვს, რომლებიც გამჭვირვულ პლასტმასისგანაა დაშაბებული და აადვილებს სროლისას ვაზნების ხარჯვის გაკონტროლებას. მჭიდებს გვერდებზე სპეციალური სამაგრები აქვს, რაც საშუალებას იძლევა ძირითად მჭიდს გვერდებიდან თითო-თითო სათადარიგო მჭიდა მიემაგროს. ბრძოლის დროს ეს შედარებით აჩქარებს მჭიდის გამოცვლას, ეს სათადარიგო მჭიდების ავტომატზე განთავსების ერთგვარი ცეცილებული მეთოდია, რადგან ბევრს ემასხორება აფხაზეთის ომის დროს ერთმანეთზე ლურჯი მხოლნტით გადაბმული ორმჭიდიანი (ზოგი სამ მჭიდსაც კი ამაგრებდა ერთმანეთს) „კალაშნიკოები“. ისე, სიმართლე ითქვას, გადაბმული მჭიდებით უფრო მძიმდება ავტომატი და იცვლება სიძიმის ცენტრი, ხოლო ძირითად მჭიდს უკუღმა მიმაგრებულ მჭიდაში შეიძლება ტალახი და ჭუჭყი მოხვდეს (გან-

**ჩვენი ღოსიმი:** შვეიცარიის არმიის შეიარაღებაში დღესაც არის 5,56 მმ კალიბრის ავტომატი SG550 და მისი მოდიფიკაციები. ამ ავტომატის სიგრძე კონდახით 998 მმ-ია, ხოლო დაკეცილი კონდახით — 772 მმ. ლულის სიგრძე 528 მმ-ს აღწევს. იარაღის მასა, ვაზნების და მჭიდის გარეშე, 4,05 კგ-ია. ავტომატის თიორიული სწრაფსროლა წუთში 700-ს აღწევს.







შვეიცარიის არმიის მებრძოლი SG-550 ტიპის ავტომატით

საკუთრებით სანგრძობიდან სროლის დროს, როდესაც ავტომატის მჭიდვები მისწრაფებენ (ფრანსობა), რამაც მჭიდის შეცვლის შემდეგ შეიძლება სროლა შეაფერხოს. კარაბინი SG551 საბაზო SG550-ისგან მხოლოდ დამოკლებული ლულაით გამოირჩევა და მას არ შეუძლია ლულის ბოლოზე წამოცმული ყუმბარის გასროლა. ამასთან, მასზე არ ყენდება დასაკრეცი ფეხები და არც ხშირტი-დანა.

დამოკლებულლულიანი ავტომატ SG552 SWAT-ს კარაბინზე კიდევ უფრო მოკლე ლულა აქვს. თუკი სრულფასოვანი ავტომატის ლულის სიგრძე 528 მმ-ია, კარაბინის SG551-ის — 363 მმ, დამოკლებულლულიანი SG552-ისა მხოლოდ 226 მმ. ამასთან, მოკლე ლულის გამო SG552-ს უკან დამაბრუნებელი ზამბარა უშუალოდ ლულის კოლოფში, საკეტის ჩარჩოს უკან აქვს, რომელიც ბერეტის გარეშე, უშუალოდ საკეტის ჩარჩოზე ზემოქმედებს.

2009 წელს SIG Sauer-ის შვეიცარიულმა განყოფმა ფორმამ დღის სინათლეზე გამოიტანა შაშხანა SG751 SAPR-ი, რომელიც NATO-ს სტანდარტს 7,62X51 მმ კალიბრის ვაზნებზეა გათვლილი. რეალურად ეს ავტომატური შაშხანაც 5,56 მმ კალიბრის ავტომატ SG550-ზეა აგებული, მაგრამ გაზრდილია კალიბრი. ეს შეიძლება იმით არის გამოწვეული, რომ იარაღის მსოფლიო ბაზარზე

ბოლო დროს დიდი მოთხოვნა NATO-ს 5,56მმ-ზე და რუსულ 5,45 მმ-ზე უფრო ეფექტურ (როგორც ეს ბოლო წლებში ერაყისა და აფღანიეთის სამხედრო კამპანიებმა დაადასტურა) და მსხვილ 7,62 მმ კალიბრზე. ფაქტობრივად, ხდება იმავე კალიბრზე დაბრუნება, რაც გასული წლის 50-60-იან წლებში ჰქონდათ საიერიშო შაშხანებს (M14, Stgw.57) თუ ავტომატებს (AK, AKM).


შვეიცარიული ავტომატი SG550 და მისი უფრო თანამედროვე მოდიფიკაციები ძალზე პოპულარულია და ხშირად გამოიყენება პოლიციულის მძაფრისუფრეტიან ფილმებში. ის არანაკლებ 26 პოლიციურ მძაფრისუფრეტიან ფილმშია დაფიქსირებული, მათ შორის „თუ-დასხმა მე-13 უბანზე“ (კორუმპირებული პოლიციელების

ხელში), „ტრანსფორმერები“ (მე-7 სექტორის კომანდოსების შვიარაღებაში), ფრანგული „არაონი B13“, „რკინის კაცი“, „სოლი“ (ანგელინა ჯოლის შესრულებით), „წარმოუდგენელი პაღკა“ და სხვ.

თანამედროვე შვეიცარიულ ავტომატებზე აყენებენ თითქმის ყველა არსებულ დამატებით აქსესუარს, ოპტიკური სამიზნის, დამის ზედვის მიწყობილობისა თუ ლაზერული მიზანმიმზიშენელის ჩათვლით, რაც მას აახლოებს უნივერსალურ ავტომატურ იარაღთან.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩხვილი დროს:** დამოკლებულლულიანი კომპაქტური ავტომატი SG551 SWAT-ი მჭიდვისა და ვაზნების გარეშე მხოლოდ 3,3 კგ-ს იწონის; მისი სიგრძე დაკვეცილი იწონის 607 მმ-ია (გაშლილით — 833 მმ). ავტომატურ რეჟიმში სროლის ტემპი — 700 გასროლა/წთ-ში.





საგარეო  
დაცვის  
სამსახური



**SIG Sauer SG552 Commando**